

ბედი ქართლისა



2633
1952

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

„LE DESTIN DE LA GÉORGIE“

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16^e). Tél.: Passy 75-35.

№ 13

ნოემბერი

— 1952

— NOVEMBRE

Djobadze's Library

№ 13

შინაარსი:

- ქართული ევროპეული მოძრაობა.
- პროფ. მიხ. წერეთელი** — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის (გაგრძელება).
- გრიგოლ რობაქიძე** — ორი ფოთოლი (რომისანიდან „დალი“).
- გ. გამყრელიძე** — პაოლი იაშვილის ხსოვნას; ჩვენი მხარე.
- მ. მ. თარხნიშვილი** — ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცავებში.
- ექ. გ. კობახიძე** — ზოგიერთი ცნობები დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონებზე.
- პროფ. შ. ბერიძე** — ბასკური და ქართული; გრიგოლ რობაქიძე იტალიაში, ბიბლიოფრაფია და მოგონება.
- ირ. ოთხმეწური** — წიგნები საქართველოზე ბრუსელის ძველ ბაზარზე.
- კ. სალია** — 62 ქართველის გადასახლების 30 წლის თავი.
- პროფ. მიხ. წერეთელი** — შალვა ქარქიძე †
- ნ. სალია** — იოსებ ელივაშვილის ხსოვნას.
- თეთრი ფიორჯის განცხადება.
- ევროპის მეცნიერთა კონგრესი.
- ქრონიკა.

ქართული ევროპეული მოძრაობა

„ბედი ქართლისა“ ეყრდნობა სისხარულით ქართული ევროპეული მოძრაობის დაარსებას.

როდესაც ევროპის მთლიანობის იდეა ხორცის ხაზს და მისთვის მებრძოლი ორგანიზაციებით მოფენილია მთელი დასავლეთი, ჩვენი მოვალეობა იყო თავისუფლება ართმეულ საქართველოს მავიერი მისი ევროპეული სიტყვა გვეთქვა. ეს იკისრეს ჩვენმა წარჩინებულმა მეცნიერებმა და მათი ინიციატივით და დახმარებით დაფუძნდა ქართული ევროპეული მოძრაობა.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ემიგრაციის პოლიტიკური აზროვნება ისე დაბნეული არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს. — არც ის გვახსოვს, რომ საგარეო პოლიტიკის ნიადაგზე რაიმე სერიოზული უთანხმოება მოგსვლოდეს ამ ოცდაათი წლის განმავლობაში,

რაც გადმოხვეწილობაში ვართ. საქართველოს სუვერენულ უფლებათა დაცვის საკითხში ჩვენი ემიგრაცია მუდამ შეუწყველი კოლოსით იდგა და ამ მხრით მისი მთლიანობა არავის არ დაურღვევია. ხოლო დღეს, მსოფლიოს რთული პოლიტიკური მდგომარეობის გავლენით იგივე კრიზისი განიცდის, მისი ეროვნული ერთობა დაიშალა და ბევრი რამ უჩვეულო ხდება.

ამ დროს გვევლინება ახალი ქართული მოძრაობა თავისი გარკვეული სახით, რომელიც ნათლათ გვისახავს სწორი ეროვნულ გზას. მისი აზრით ერთად-ერთი მისაღები ჩვენთვის არის ევროპის ორიენტაცია, ევროპის ფედერაციაში უშუალოდ შესვლა, ამისათვის მუშაობა და ნიადაგის მომზადება.

„საქართველო მუდამ იყო დიდი ევროპეული

ოჯახის წევრი, ამ ოჯახის შემძენი და ამ ოჯახ-
 ხით მოსარგებლე, ჩვენ გვწამს, რომ დამოუკი-
 დებელი საქართველო თავის ადგილს დაიკავებს
 გაერთიანებულ ევროპაში; ეს ადგილი მას დამ-
 სახურებელი აქვს. ჩვენ გვწამს, რომ თავისუ-
 ფალი ქართველი ერი ძველებურად გაშლის თა-
 ვის ბუნებას და ნიჭს თავმოყრილ და მთლიან
 ევროპაში“, ვკითხულობთ ამ მოძრაობის მიერ
 გამოცემულ წიგნაკში „საქართველო—ევროპა“.

„ევროპის ისტორიის დასაბამითგან საქართვე-
 ლო მონაწილეა კაცობრიობის იმ სულიერი გა-
 ნვითარებისა, და კულტურული, პოლიტიკური
 და ეკონომიური ფორმაციების შექმნისა, რომ-
 ლებიც შეადგენენ ევროპის ცხოვრების არსს,
 ამბობს ეს ახალი მოძრაობა. საქართველო არის
 მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წილის შემ-
 ტანი ევროპის შემოქმედებისა. კოლხ - იბერთა-
 გან გაწეული შრომა, მათი თანადგაწლი ჰელი-
 ლენტური მსოფლიოს წარმოშობაში და შექმნაში,
 ქართველი ერს დღესაც ასაზრდოებს, დღესაც
 მშატებს მისი შინაგანი ცხოვრების წყაროს, ძა-
 ლას და ღონეს, და ამავე დროს, ეს თანადგაწლი
 არის წილი შეტანილი ევროპის კულტურის სა-
 ძირკველის ჩაყრაში და მის გაშლაში. კოლხ -
 იბერთა წილი რომაელთა იმპერიის ევროპულ
 დაფუძნებაში, მათი ღვაწლი იმპერიის ყველა-
 ზედა მნიშვნელოვანი საზღვრების დაცვაში და
 მით იმპერიის კეთილდღეობისათვის, და მისი
 კულტურული შემოქმედების განმტკიცებისათ-
 ვის, არის გააკრძელება იმ ფუნქციისა, რომელიც
 ისტორიულმა მსგელობამ და ბედმა ქართვე-
 ლთა წინაპართ გერ კიდევ პირველ ათასეულ
 წელთა წინ ქრისტემდე მიაკუთნა“.

შემდეგ, მოძრაობის დებულებებში განხილუ-
 ლია ქართველების როლი ქრისტეანულ - ევრო-
 პიული ცხოვრების დაფუძნებაში და მისი კულ-
 ტურის შექმნაში და დაცვაში, მოთხრობილია
 საქართველოს მონაწილეობა ჯვაროსანთა ომე-
 ბში, განსაკუთრებით 1121 წელს დიდ-გორის
 ბრძოლა, სადაც დავით აღმაშენებელმა დაამარ-
 ცხა წინა აზიის მთელი შეერთებული ძალები,
 რამაც დიდი ხნით გადასწყვიტა ჯვაროსანთა სა-
 სარგებლოდ მსგელობა ომებისა, და ეს სწო-
 რედ მაშინ, როდესაც ჯვაროსნები დიდ ფაქირ-
 ვებაში იმყოფებოდნენ. დიდ-გორის ბრძოლას-
 თან დაკავშირებით მოხსენებულია ცნობილი
 ლეგენდა მეფე-მოძღვარი იოანესი, რომ სამა-
 ჰმადიანო ქვეყნებს იქით არსებობს ქრისტეანუ-
 ლი სამეფო; მისი მოძღვარი-მეფე იოანე მო-

დის ჯვაროსნების დასახმარებლად და სხვა. შე-
 მდეგ საუკუნოებში, როდესაც ჯვაროსნები გა-
 ჭირებაში ჩავარდებოდნენ ხოლმე, აცოცხლებ-
 დენ ამ ლეგენდას და იმედს: მეფე-მოძღვარი
 მოდის მოსაშველებლად და არწუნებდენ თა-
 ვიანთ მეფეებს, რომ საჭიროა შევლა და დახმა-
 რება ზიაროდნ ჯვაროსნებს.

წიგნაკი განხილავს აგრეთვე მე-15-16 საუკ.
 ევროპაში მომხდარ დიდ ვარდატეხას, როდეს-
 ც მსოფლიო კომუნიკაციის გზები, მანამდე
 კონტინენტით მოსრულ აღმოსავლეთისა და ინ-
 დოეთისაკენ მიმავალი, შეწყდა, რათგანაც შავი
 ზღვა და აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვა ოს-
 მალემა დაიკავეს. საჭიროება ოკეანეთი მიმავა-
 ლი ახალი გზების გახსნისა, გაიზარდა. ევროპი-
 ელები დგანან შავი ფაქირების წინაშე. სიძ-
 ნელეთა გადალახვა პორტუგალელებმა და ის-
 პანელებმა იკისრეს. ხელახლად იფეთქა მეფე-
 მოძღვარის იდეამ და სურვილმა ზღვის გზით
 მოძებნონ ეს საქრისტეანო სამეფო. მხოლოდ ამ
 დეით გამოწვეული ერთუზიანობით და გატაცე-
 ბით აღსავსე მენდგატურებს შეეძლოთ იმ საში-
 ნელი დაბრკოლებების და სიძნელების გადალა-
 ხვა, რომელიც მათ უხვად ხვდებოდა გზაში. ეძ-
 ებდენ ოკეანური გზებს ინდოეთისკენ და ამ ძე-
 ბნაში იყო ამერიკის კონტინენტები აღმოჩენი-
 ლი. ამერიკიდან დასავლეთი ევროპის ყურადღე-
 ბა და ენერგია ამ ახლად აღმოჩენილ ქვეყნები-
 საკენ არის მიმართული, რამაც გამოიწვია ძი-
 რითადი ცვლილებანი, ძველი მსოფლიო გზებ-
 ზე მდებარე ქვეყნები და მათ რიცხვში საქართ-
 ველოც, დარჩენ მსოფლიო კომუნიკაციის სის-
 ტემის გარეშე, მასადაამე, გარეშე მსოფლიო
 მაჯის ცემისა. ცენტრალური და დასარჩენი აღ-
 მოსავლეთი ევროპის ერებიც ოკეანური მსოფ-
 ლიო სისტემის გარეშე დარჩენ. ბუნებრივად გა-
 იზარდა მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის ერე-
 ბისა. პორტუგალია, ისპანია, ჰოლანდია, საფრან-
 გეთი, ინგლისი სცდილობდნ ახალი შესაძლებ-
 ლობანი საქმედ აქციონ და მათი მთავარი ძალა,
 ღონე და ყურადღება ოკეანესკენ არის მიქცე-
 ული.

საქართველო კი ძველ გზას ადგია, მას სხვა
 გამოსავალი არა აქვს. მისი მეფეები სცდილო-
 ბენ შექმნან სისტემა ევროპულ სახელმწიფო-
 თა კავშირისა, რომელშიც საქართველოც ნაგუ-
 ლისხმებია მისი ძველი ფუნქციებით. გეგმა შე-
 იქმნას ევროპის ქრისტეან მეფეთა კავშირის სი-
 სტემა საქართველოს მონაწილეობით და იმედო



ასეთი შესაძლებლობისა ამოძრავებს ქართველ მეფეებს სამი საუკუნის განმავლობაში. ყვარყვარე ათაბაგი ჰქმნის კავკასიის ერთა კოალიციას სპარსეთის მფლობელ უზუნ ჰასანთან ერთად და აგზავნის ელჩებს ევროპის მეფეებთან გაცემით, რომ მშენებელი ძალებით განდევნონ ოსმალები ევროპიდან და მოსპონ მათი ძალა (მე-14 ს.); ლუარსაბ პირველი მიწერა მოწერაშია რომის პაპა პავლე მეორესთან (1534 - 1549); თეიმურაზ პირველის (1605 - 1648) მიერ გაგზავნილი წარმომადგენელი ნიკოლოზ ერბაში აწარმოებს მოლაპარაკებას 1625 წ. პაპა ურბან მეორესთან, გერმანიის იმპერატორთან, ესპანეთის მეფესთან, ფლორენციის მართველებთან, პოლონეთის მეფესთან; ვახტანგ მეექვსე (1702 - 1724) გზავნის საფრანგეთის მეფე ლუიდივს მეთოთხმეტესთან სულხან - საბა ორბელიანს, რომელიც ჰპირდება თავის მეფის სახელით საფრანგეთის მეფეს — უზრუნველყოფს და დაიცვას ფრანგი ელჩებისათვის ინდოეთში და მონგოლეთი - ჩინეთში მიმავალი გზები. სუკანასკნელი ცდები, განახორციელოს იგივე ევროპის მეფეებთან კავშირისა, ეკატერინის ერეკლე მეორეს (1744 - 1798).

ამნაირად ბევრი იცადა ქართველი ერი მე-16 საუკუნეში მომხდარი იარაღების შემდეგ შესულიყო ისევ ევროპის საერთო დენაში, მხარამ სჩანს, რომ მხოლოდ დღეს უღიმის ბედი სამი საუკუნის განმავლობაში უშედეგო ღვაწლს ქართველი მეფეებისა. რაც მაშინ შეუძლებლად ითვლებოდა, დღეს ევროპისათვის აუცილებლობას წარმოადგენს: შექმნა ევროპის სახელმწიფოთა კავშირის სისტემისა.

მართალია, საქართველომ ვერ შესძლო თავისი ევროპიული მიზნების განხორციელება, მაგრამ განგრძობა მისი ევროპული ცხოვრებისა არ შეწყვეტილა. მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, მან დროთა განმავლობაში ბევრი დაჰკარგა: მთლიანობა, ძალ - ღონე, ტერიტორია, სიმდიდრე, მაგრამ მთლიანად ის არასოდეს არ ყოფილა დაპყრობილი, და ამიტომ არც შეწყვეტილა და არც შეცვლილა მისი ცხოვრების ბუნებრივი მსვლელობა, მისი სულიერი კავშირი ევროპასთან არასოდეს არ დარღვეულა.

ქართული ევროპიული მოძრაობა სუყრადღებოდ არ სტოვებს, რასაკვირველია, საქართველოს დამოკიდებულების საკითხს რუსეთთან და ოსმალეთთან. მისი შეხედულებით, ევროპის

მთლიანობის განხორციელება საქართველოს საშუალებას მისცემს, მთავაროს მათთან ისტორიული დაევა. ესენი, როგორც წევრები ერთი და იმავე ევროპის დიდი ორგანიზაციისა, ვალდებულნი იქნებიან დაიცვან საერთოდ განმომუხებული წეს - რიგი, რომელიც გახდება საზომი ერთა შორის დამოკიდებულებისა. შიში დიდი ერის წინაშე ჰკარგავს თავის ძალას, რათგანაც უდიდესი ერიც კი სუსტია მთლიან ევროპასთან შედარებით. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება მოიპოვოს ქართველმა ერმა უზრუნველყოფა მისი ფიზიკური არსებობისა, კულტურული გაანვითარებისა და ეკონომიური კეთილდღეობისა.

განმარტავს რა ეს ახალი ქართული მოძრაობა თუ რა შესაძლებლობებს უქმნის სრული ინტეგრაცია ევროპისა თითოეულ მის ერს, დაასკვნის: „ჩვენი მიზანი იგივეა, რაც ყოველი ევროპელი ერისა: ვიყოთ უფალი ჩვენი თავისა, მოვაწესრიგოთ და გავშალოთ ჩვენი ცხოვრება ისე, როგორც ეს ჩვენს ბუნებას შეეფერება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ თავისუფალი ვართ, თუ საქართველო დამოუკიდებელია. ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისაღებად მას სჭირდება ევროპა, როგორც მცველი მისი თავისუფლებისა, როგორც მომცემი ახალი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური შესაძლებლობათა. საქართველო არ მოისურვებს იყოს მხოლოდ მოსარგებლე. ის თავის მოვალეობად სთვლის, ისე როგორც წარსულ საუკუნოებში, იყოს აგრეთვე შემძენი ევროპისა, დამცველი მისი მთლიანობისა და მისთვის მებრძოლი.

ევროპა მრავალ - ფეროვანი ერთეულია. ყველა ევროპიული ერში ცოცხლობს ევროპიულობა და ევროპიულობაში კი ყოველი მისი ერი.

წყარო ევროპიული შემოქმედებისა არის ევროპის მრავალფეროვნობა. მხოლოდ ევროპის მთლიანობას შეუძლია განამტკიცოს და დაიცვას ყოველი ერის თავისებურება. ევროპის შიგუნდა სუფევდეს ერთმანეთთან შეფარდებული და თავისუფალი გაშლა და განვითარება მისი ერებისა, ევროპის ვარჯეთ კი, მსოფლიოში — ევროპის მთლიანი წონა.

ევროპა უფრო დიდია, ვიდრე მისი რომელიმე სახელმწიფო. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ერი, რომლის კეთილდღეობა და აწყობა და მომავლის უზრუნველყოფა მოითხოვს სწორედ ევროპის შექმნას. პირველი მნიშვნელობისა თვით



ერია, ეგრობა კი მისი მფარველი. პირველს უმეორროლი სიცოცხლის უნარი ერთმევა. არც ერთ ერს არ შეუძლია სიცოცხლე, თუ მას ნიადაგი გამოეცალა და ამ ნიადაგს შეადგენს ის უფრო — „დიდი“ ეგრობა. ასეთი უნდა იყოს დამოკიდებულება ერსა და ეგრობას შორის.

ბრძოლა ეგრობისათვის ნიშნავს დაცვას და გაშლას ჩვენი კულტურისა და ცივილიზაციისა.

თითოეული ჩვენთვის ეგრობა არის: თავისუფლება და წეს-რიგი, უფლება და მისი უზრუნველყოფა, მუშაობა და სოციალური სამართლიანობა. მის გამარჯვებას ვუკავშირებთ კვლავ აღდგენას და გამარჯვებას ქრისტიანობის მიერ დაფუძნებულ ცხოვრების წესებისა, რომელმაც განამტკიცა ცხოვრება ჩვენი მრავალ საუკუნოების წინ და თანდართული აქვს იმ მაღალ კულტურას, რომელიც ქართველმა ერმა შექმნა საშუალო საუკუნოებში და რომელიც დღესაც სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენს სულსა და გულს.

ჩვენი მიზანი არის, გავხდეთ წევრი ამგვარად გაგებული თავისუფალი ეგრობისა. ვიყოთ მისთვის შეძენი და გვემდეს საარგებლობა მისი მფარველობისა*.

ვინც გულდასმით გაეცნობა ამ ნოდრობის მიზანს, დაგვეთანხმება, რომ საქმე გვაქვს უეჭ-

ველად ჩვენი ემიგრაციის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენასთან, რომელსაც შეუძლია დადებითი როლი აღასრულოს ჩვენი საგარეო პოლიტიკის სწორადი მიმართვისა და მისი ნამდვილ ეროვნულ ხაზზე დაყენების საქმეში. რა დასამალია, რომ ამ მხრით ნდგომარეობა მთლად წესრიგში არ არის.

როგორც ამ ნოდრობის ინიციატორთა მოწოდებაშია აღნიშნული, ეს ახალი ორგანიზაცია დგას პოლიტიკური პარტიისა და ჯგუფთა გარეშე, მსგავსად არსებულ ეგრობის ფედერაციის ნოდრობათა, სადაც შედიან ყველანი, განურჩევლად სარწმუნოებისა და პოლიტიკური მრწამსისა.

ჩვენზედ არის დამოკიდებული, თუ რა ვაშლას და განვითარებას მიეცემთ ქართული ეგროპიული მთლიანობის კონცეპციას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ნოდრობის მფარველნი, ჩვენი სახელოვანი პროფესორები, რომლებიც უკვე ცნობილნი და დამსახურებულნი არიან ეგროპიული იდეების დამუშავების დარგში, ყურადღებას და ზრუნვას არ მოაკლებენ ამ ახალ ქართულ დაწყებას.

ვიმედოვნებთ, თანაგრძნობით შეხედება მას ქართველი საზოგადოებაც.

კ. სალია

„მეფის ტყუილის“ ტექსტისათვის*)

V

ეს ასეც არის: დასაწყისის ავტორები არიან რუსთველი, მესხი მელექსე და მათ ტექსტებში ჩანართთა ერთი ან შეიძლება რაოდენიმე სხვა ავტორიც. ამ უკანასკნელთა რიცხვი აქ არ გვაინტერესებს. მნიშვნელოვანია მხოლოდ რუსთველისა და მესხი-მელექსის ფარდა კიდევ სხვა პოეტის მონაწილეობა „ვ. ტ.“-ის „დასაწყისში“, მისი ტექსტის კრიტიკისათვის.

მესხი მელექსის „დასასრულის“ სტროფთა (2, 3, 5) და „დასაწყისის“ სტროფთა (ჩანართი 1*: 2, 6) მსგავსება ცხადია. მესხი მელექსე განმარტავს რუსთველის სიტყვებს (მიძღვნა, 2): „ესე ამბავი სპარსული... ვპოევი და ლექსად გარდავთქვი“... შემდეგ ნაირად: „ქართველთა ღვთაებისათვის (= თამარისათვის), რომელსაც სატარებლად ვითარცა მზეს ვმსახურებს

დავით, მე გავლექსე ეს ამბავი მათ სახედ და დარად (ტექსტში: საკამათებლად, შესაცლიებლად), ვინც აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებელია, ორჯულთა დამწველი და ერთგულთა გამამაგრებელი. — დავითის ქმნანი, მისი რიხისა და სიჩაღისა, როგორ უნდა ვთქვა! (ამიტომ) ეს უცხო ამბავი უცხო ხელმწიფეთა, — პირველ ზენი, საქმენი და ქებანი მათ (უცხო) მეფეთა, — (რომელიც) ვპოევი, გავლექსე (მის დასახატეადაც) და ამით განვაგრევი სიტყვაო“. მესხი მელექსე ამ განმარტებას „დასაწყისში“ რასაკვირველია არ ვაიმეორებდა, — „დასაწყისში“ ზემოხსენებული სიტყვებია თვით რუსთველისა და იქვე მათი განმარტება სხვა ინტერპოლატორისაგან უხეჩხული, ხოლო „დასასრულში“ მესხი მელექსისაგან სრულიად ბუნებრივი. ამ სხვა ინტერპოლატორს სწორედ „დასაწყისის“ შესავსებად მიუჩნევია საჭიროდ თავისი

*) იხ. დასაწყისი „ბედი ქართ.“ № 12.

საკუთარი ივანმარტვიანის ჩართვა, წაუბაძავს მესხი მელექსისათვის, ივანმეორეობისა მისი ივანმარტვა და თავისიც დაუმატებია. მართლაც, ერთი უძველესი დედნის-კვალთა შემცველ ხელთნაწერს G-ს, რომელიც იწყება ყველა ხელთ-ნაწერში რუსთველის სტროფით: „რომელმან შექმნა სამყარო“ და სხვ., სხვა ხელთ-ნაწერებთან და ვახტანგის ვერსიასთან შედარებით, აკლია: 1. მიჯნურისა ლოცვა: „ვე ღმერთო ერთო, შენ შექმნე და სხვ.; 2. ვცხ ჰმეცხის, ლომისა, ზმარება“ და სხვ.; 3. „თამარს ვაქებდე მეფესა“ და სხვ.; 4. „მიხრსანეს მათად საქებად“ და სხვ.; 5. „აწ ენა მინდა გამოთქმად“ და სხვ.; 6. „მო, დაესხდეთ ტარიელისთვის“ და სხვ. — როგორც ზემოთ ვთქვით, ყველა ხელთ-ნაწერი და ვახტანგის ვერსიაც მომდინარეობს იმესხი-მელექსის მიერ შევსებული და შეკაზმული „ვ. ტ.“-ითგან და ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ არც ერთი ჩანართი, რომელიც ხელთ-ნაწერებს აკლია, მესხი-მელექსის კალამს არ ეკუთვნის, მაშასადამე არც ზემოხსენებული 6 ჩანართი სტროფი „დასაწყისისა“. ამისი სხვა ნიშანიც არის: ყოველად უვარგისობა ლექსისა: მესხი მელექსის სტროფითა შორის ყველა არ არის მსგავსი ღირების ხარისხისა, ხოლო არც ერთი ისეთი უმეცრო, როგორც არის ზემოხსენებული 6 ჩანართი სტროფისა: „მომეცე მიჯნურთა სურვილი სიკვდილმდე ევასატანისა“ (დ) (!), — ფრაზა უაზრო და ფრამბოტიკა შეუძლებელი! „მელნად ვიხმარე ვიშრის ტა (?!) და კალმად მუ ნა რხეული“, — რუსთველის „მელნის ტბის“ ნაცვლად და სხვ. „გასტეხს ქეასაცა მავარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, — უაზრო ფრაზა, რომლის უაზრობას სრულიად ვერ შეესცვლის ი. აბულაძის მიერ „ტყვიისა“ „სიტყვისა“ — დ შეცვლა. „მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება. მათ სამთა ემირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება“, — ასრავითარი, სან რაღაც ბუნდოვანი კავშირი ამ ორ ტაევს შორის! „მო დაესხდეთ ტარიელისთვის, ცრემლი ფედის უეშრობილი“ (!) — შეუძლებელი ფორმა „უეშრობილი“! „მისებრი მართი დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი!“ — წაბაძვა რუსთველისა და მესხი-მელექსისა, განმეორება მათი გამოთქმათა, და სხვ და სხვ. შემდეგ ხმარება ისეთ სიტყვათა, როგორც არის „შიშერი“ (ხრმალი) და სხვ., რომელითაც არც რუსთველი და არც მესხი-მელექსე არ ჰხმარობს და რომელნიც სხვაგანაც ქართულ მწერლობაში ჩვენ არ შეგვხვდ

დრია. — 3. ინგოროყვას როგორც „დასასრულის“ სტროფები სჭირდება თვისი ჰიპოთეზისათვის, ისე „დასაწყისისა“, როგორც მაგალ. მეორე სტროფი მისი, — დავითის ქების შეღმარებლობისა, და ამ სტროფის გეუგებარ მეოთხე ტაევს ასე ასწორებს: „მისთა მჭურეტელთა შამისა ნიშნად სთქვეს, ეტლად შერისა“ (შამისი=მზე, შერი=ლომი, ეტლი შერისა=ლომის ეტლი, ივლისის ზოდიაქო, რომელშიც შედის მზე, ე. ი. თამარ), მაგრამ თვით-ნებურობას ტექსტის აღდგენის დროს საზღვარი უნდა ჰქონდეს! (იხ. ჩვენ მიერ აღდგენილი ტაევი: ჩან. 1*, 2, 4). და ერთობ საკვირველია ჩვენთვის, როგორ შეიძლება ისეთი ნიჭიერი მკვლევარი, როგორც 3. ინგოროყვა, ისე გატაცებული იყოს თვისი ჰიპოთეზისებით, რომ მან ეს უმეცრო სტროფი და მისი მსგავსები რუსთველისად აღიაროს?

„დასაწყისის“ ამ ჩანართის ავტორს მესხი-მელექსის „დასასრულში“ ნათქვამი დავითის ქების შეღმარებლობა და ტარიელისათვის რუსთველის ცრემლი-შეუშრობლობა აქვს განმეორებული, აგრეთვე (უცხო) ამბის გაღიქვა, — „აქამდის ამგვად ნათქვამი(სა), აწ მარგალიტი(ს) წყობილი(სა)“ (ჩან. სტრ. 6). ეს „მარგალიტი წყობილი“ — ც მესხი-მელექსის გამოთქმაა (იხ. ჩანართი 120, 2, 4). მაგრამ მესხი-მელექსესათვის ისიც „რუსთველისად“ სწერდა, თუმცა ამას არ ამბობს, და რუსთველს ათქმევინებს კიდევ სხვას რასმე ვიდრე მესხი მელექსე: „თამარს ვაქებდე მეფესა სისხლისა - ცრემლ - დათხეული, ვისნი ქებანიც, არ ავად გამოირჩეულნი, (წინათაც) მითქვამს. (აქ „ვ. ტ.“ — ის წერის დროს) მელნად ვიხმარე ვიშრის ტა და კალმად რხეული ლერწამი (= თამარის თვალები და ტანი). ვინცა იხმინოს, დაეცვას ლახვარი ვლუს ნაკრავი. — მიბრძანეს მათი (თამარის) საქებრად ტკბილი ლექსების თქმა, ქება (მის) წარბთა და წამწამთა, თმთა და ბაგე-კბილისა, რომელიც გათლილ ბოლო-ლალს შეედრება და (შვენიერი) რხევით არის მიწყობილი. — ლბილი ტყვიის გრდემლი მავარ ქეასაც კი ვასტეხს!“ (ჩან. სტრ. 3-4). — ეს ორი თავის-თავად უმეცრო სტროფი ფრიად მნიშვნელოვანია და აი რატომ: 1) რუსთველს დაუწერია აქ მოცემული ცნობით „ვ. ტ.“-ზედ უწინარეს „ქებანი“ თამარისა. ეს „ქებანი“ უნდა იყვნენ, ჩემი რწმენით, „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, — აგრეთვე რუსთველის თხზულება, — და ამათ სხვაგან

ძებნა მათი, — დაკარგვის ჰიპოთეზისი და სხვ. რუსთველის მკვლევართა (იხ. „ზედი ქართლისა“, №№ 6 - 9, პარიზი, 1949 - 1951). ეს გარდა-
 მორცხვა, მასწავლებლის, სინამდვილის გამომხატველია.
 2) რუსთველისთვის „უბრძანებიათ“ თამარის ქების (კვლავ) დაწერა, მას ეს თითქოს არა ნდომებია, მაგრამ გაუტყვისათ მისი სურათი და მასაც დაუწერია „ვ. ტ.“-ი. ეს გარდამორცხვა კი ლეგენდარული უნდა იყოს არა იმიტომ, რომ მისი მიერ დაწერილი „დასასრულში“ ამაზე იხილავს, — თუმცა ესეც ყურადსაღებია, — არამედ იმიტომ, რომ თვით რუსთველი ამბობს მიძღვნაში (სტრ. 3): „ვ. ტ.“-ის ამბავის გალექსებით საჭოჭმანო*) საქმე ვქმენი: ჩემს ხელმწიფელს (==თამარს) შევკადრო მისი მიძღვნა? მასწავლებელს მას თვით გადაუწყვეტია თამარისთვის მიძღვნა თვისი ქმნილებისა, რაიცა ცხადად ჩანს მიძღვნის 4 - 5 სტროფებიდან. „ისტორიანი და აზმანი“ გვიჩვენებენ აგრეთვე, რომ მათი ავტორი, ჩვენთვის უცნობად რუსთველი, არც კარის კაცი იყო და მით უმეტეს კარის პოეტი ვერ იქმნებოდა. კარის პოეტი, რომელსაც უბრძანებდნენ „ტუბილი ლექსების თქმას“ თამარ მეფის „საქებრად“, „ვ. ტ.“-ის მკვლევარი თხზულების დაწერას და ნეფისათვის კადრებას ვერ გაუღებდა. რუსთველი თავისუფალი მწერალი, ისტორიკოსი და პოეტი იყო. მისთვის არც „ისტორიანი და აზმანი“ დაწერა „უბრძანებიათ“, არამედ თვით დაწერა იგი და აგრეთვე დიდი მორიდებით, — საკრძალოდ არს შითხრობა შეფუთაო“. „ვ. ტ.“-იც თვით დაწერა და კრიტიკა შექმნა, — საჭოჭმანო საქმე ვქმენი, — შევკადრო თუ არა მეფეს ძღვნად ჩემი ქმნილებაო. — ყოველივე ესე ცხადია და ჩვენი მკვლევარნი „ვ. ტ.“-ისა რომ გაუთავებელი საუბარს მოსპობდნენ რუსთველის „კარის პოეტობაზე“ და სხვ., ამით რუსთველოლოგიას არას ავნებენ. შემოსხენებელი თქმულება, გვიანდელი ინტერ-

პოლატორის მიერ შეტანილი „ვ. ტ.“-ის „დასასრულში“, არაფერს არ ამტკიცებს, და მისი კრიტიკად მიღება, თვით რუსთველის სიტყვებადაც კი აღსარება მისი, მხოლოდ ზნა - და - კვალის აღრევას იწვევს მკვლევართა. სხვა არა იყოს რა, საკმარისია თვით რუსთველის ნათქვამი ყურადღიანი: „ჩემი აწ სცანით ყოველმან, — მას ვაქებ ვინცა მიქიაო“ (შეად. „ისტ. და აზმ.“), „ვისი სახელი შეფარვით ქვემორვე მითქვამს, იქიაო“ (მიძღვნა, 5), და თუ მიხედვებიან ამ სიტყვათა ნამდვილ მნიშვნელობას, წეს - რიგს დაამყარებენ მათი აზროვნების ქაოსში. —

დავითის ქების შეუმართებლობის სტროფი სწორად ვერც გაუგია „დასასრულში“ გვიანდელი ინტერპოლატორის და ჩაურთავს „დასასრულში“ იმავე შინაარსის სტროფი და კიდევ ერთი სტროფის მიმატებით იგი რუსთველს ათქმევინებს: „დავითს, არ ვიცი, რა ხატსა უნდა შევკადრო... თამარს ვაქებდე მეფესა“-ო..., რაიცა სრული უაზრობაა. მისი მიერ დაწერილი კი იხილავს ათქმევინებს რუსთველს: „ქართველთა ღმერთის (თამარისათვის), რომლისა მატარებელია, ვითარცა მზისა, დავით, ეს ამბავი გავლექსე მათ სახედ და დარად. როგორ შევძლებდი დავითის ქმნათა აღწერას, ამიტომ სუცხო ხელმწიფეთა უცხო ამბავი გავლექსენო, და სხვ., ე. ი. მას ორივეს, თამარს და დავითს სახედ და დარად გავლექსია „უცხო ამბავი“. თვით „ვ. ტ.“-ი მართლაც ასეთ შთაბეჭდილებას სტროფებს, და არა ისეთს, თითქოს იქ დავითის ქება არ იყოს, არამედ მარტო თამარისა, როგორც ეს გამოდის გვიანდელი ინტერპოლატორის „დასასრულში“ ჩანართითგან. — თვით რუსთველი ამბობს მიძღვნაში: „მე, რუსთველი, (მიჯნურობის) ხელით (==გონება - დაკარგულობით) მცდარი ვიქმ ამ საქმეს: ეს სპარსული ამბავი გავლექსე და გამოვიდა საჭოჭმანო საქმე: ჩემს ხელ - მქმნელს შევკადრო იგი ძღვნად? მაგრამ რათგანაც (მიჯნური) პოეტის ენა მის ერთისათვის უნდა მუსიკობდეს მხოლოდ, ვინც მას სამიჯნუროდ უჩნს, მეც მას ვაქებ, ვინც (წინათაც) მიქია („ისტ. და აზმ.“), ვისი სახელი ქვემორვე (ე. ი. თვით „ვ. ტ.“-ის მთხრობაშიც) არის ნახსენები „შეფარვით“. აქ რუსთველი მხოლოდ თამარის ქებაზე გვეუბნება, მაგრამ დავითზედ არას ამბობს, — არ ამბობს მისი ქება შეუძლებლად ესცანო. ხოლო თვით „ამბავში“, აგრეთვე „შეფარვით“, რასაკვირველია დავითის და სხვათა „ქებაც“ არის (სურათები: თინათინ - ავთანდი-

*) „საჭოჭმანები“ მარისს შემცდარი განმარტების წასაძებით ი. აბულაძისასაც „საქები“, „სასახელოც“ ჰგონია. ეს უცნაური განმარტება გამოწვეულია ამ სტროფის მეთხე ტაყვის მათ მიერ ვერ - გაგებით (იხ. აქ ჩვენგან აღდგენილი ტაყვი). „საჭოჭმანები“ ნიშნავს მხოლოდ „საჭოჭმანოს“, „საყყყმანოს“, „საყყყის გამოწვევს“ და მსგავსს, — არაოდეს „საქებს“, „სასახელოს“, და არც „საძნელოს“ (იხ. „ვ. ტ.“-ის ლექსიკონი).



ლიი = თამარ - სოსლან - დავითი; ნესტანდარე-
ჯან - ტარიელი = იგივე თამარ-სოსლან - და-
ვითი; სოსტევან, ფარსადან = გიორგი მეფე
(III), დიდ ძლიერ „შეფარვით“, და შეიძლება
აგრეთვე ტარიელ = დიმიტრი ბატონიშვილი,
— კიდევ უფრო „შეფარვით“ და ზეზა - კვალის
სრული დაბნევით მათთვის, ვინც „ვ. ტ.“-ში
დასახვას მოინდომებდა თამარის ცხოვრებაში
მომხდარ ნამდვილ ამბავთა).

აი ამ „შეფარვის“ მიზნით არის დაწერილი
რუსთველის მიერ სტროფი „ესე ამბავი სპარ-
სული, ქართულად ნათარგმანები... ვბოვე და
ლექსად იარდავთქვი...“ ამ სტროფმა ბევრი პა-
ტრიოტი ქართველი გამაფრანა: როგორ თუ ჩვე-
ნის იენისმა პოეტმა რუსთველმა „სპარსული-
თგან ნათარგმნი“ „ვ. ტ.“-ი მოგვცა, — ეს უსა-
თუოდ ჩანართი უნდა იყოს! სხვებს კიდევ სხვა
მოსაზრებით მიაჩნია ეს სტროფი ჩანართად.
ზოგ მკვლევარს კი, — ძლიერ სერიოზულსაც,
— რუსთველისად მიაჩნია იგი და ეძებს იქ ისეთს
რასმე, რითაც „ვ. ტ.“-ის სრული გაგება შეი-
ძლება. ი. აბულაძე „ვ. ტ.“-ს „მტყნარ“ სადღე-
გმირო სპარსულ ამბად აცხადებს (იხ. მისი „ვ.
ტ.“-ის შესავალი და „ვ. ტ.“-ის „სიუჟეტისათ-
ვის“, თბ. სახ. უნ. შრომები, I, 1936, გვ. 141 -
150), — „მაჰმადიანურ“ თხზულებად. ნ. მარჩი
თვით რუსთველს წინა - დასცვეთს, გაამაჰმა-
დიანებს, — მესხ - მაჰმადიანად აღიარებს, რო-
მელიც გამაჰმადიანებულ მესხეთში იყო აღმო-
ცენებული და დაწერა მაჰმადიანური „ვ. ტ.“-ი.
ამით იგი გარდასცილდა ყოველ საზღვარს კვ-
ლევის დროს სიფრთხილისა, როგორც ეს მას
ხშირად ემართებოდა. (იხ. მისი груз. поэма
«Витязь в Барсовой шкуре» Шоты из Ру-
става» და სხვ.). თვით ისეთი ფრთხილი და სი-
ნიღისიერი და აგრეთვე ბრძენი და ნიჭიერი
მკვლევარი, როგორც იყო ზ. ავალიშვილი,
ბევრს რასმე ეძებდა „სპარსულითგან ქართუ-
ლად ნათარგმნი ამბავში“ „ვ. ტ.“-ის საკითხთა
გამოსარკვევად (იხ. მისი „ვ. ტ.“-ის საკითხე-
ბი“), და სხვ. და ესე ყოველი სრული ამოება
იყო და დარჩა. მხოლოდ შ. ნუცუბიძემ ნა-
თელ - ჰყო რუსთველის მსოფლ - მხედველობის
ფილოსოფიურად განხილვის შემდეგ ამ „სპარ-
სული ამბავის“ არ არსებობა და შეუძლებლო-
ბა (იხ. მისი „რუსთველის მსოფლმხედველობი-
სათვის“, თბ. სახ. უნ. შრო. I, 1936, გვ. 1 - 54)
და რუსთველის ეს სტროფიც მან სამართლია-
ნად „ნიღაბად“ მიიჩნია. მართლაც, საკმარისია

განიხილოს მკვლევარმა „ვ. ტ.“-ი სხვა მხრითაც
გარდა ფილოსოფიურისა, რომ არა მაჰმადიანუ-
რი, არამედ ფეოდალური საქართველოს კულ-
ტურის ნიდაგზედ აღმოცენებულ წმიდა ქარ-
თულ ქმნილებად სცნოს იგი. „მაჰმადიანური“
იქ მცირე რამ მხოლოდ იარაგებულია. მარჩის
ძველი დაქალება, — „სპარსული ამბის“ ორი-
გინაღს ბრიტ. მუსეუმის ხელთ - ნაწერთა შო-
რის აღმოვჩენთ, ისევე უსაფუძვლო იყო, რო-
გორც შემდეგ, კიდევ მეტად, მისგანვე მოგონი-
ლი, მესხეთის და იქ დაბადებული რუსთველის
მაჰმადიანობა. რუსთველი ქრისტიანე იყო, და
მართლ - მაღიღებელი ქრისტიანე (იხ. „ბედი
ქართლისა“, № 7, „ისტ. და აზმანი“). „სპარსუ-
ლი ამბავი“ აროდეს არსებულა, არც მისი ქა-
რთული თარგმანი. ეს სტროფი, როგორც ვაზ-
ტანგსაც სცოდნია და შენიშნავს იგი, თვით რუ-
სთველს „გაუკეთებია“, — ცხადია „შეფარვისა-
თვის“, რომ „ვ. ტ.“-ში მოთხოვნილ ამბავთა
შემსგავსება თამარის და სხვა მისი დროის ის-
ტორიულ პირობა ნამდვილ ამბავთან დაეფარა*).

VI

„ვეფხის - ტყაოსნის“ „დასაწყისში“ ყოველ-
თვის უცნაურად ეჩვენებოდა მკითხველს სამი
ნაწილი: 1. რუსთველის მიერ თამარ - მღვდისა-
თვის მიძღვნა პოემისა; 2. შაირობა; 3. მიჯნუ-
რობა, რომელთა შორის არაერთხარე შინაგანი
კავშირი არ არის. ამიტომ იყო, რომ ძველნი გა-
მოცემულნი „ვ. ტ.“-ისა ხელთაწერებში ისე-
დაც დაზიანებული „დასაწყისის“ სტროფებს
სხვა - და - სხვანაირად ალაგებდნენ. ახალი დრო-
ის გამოცემულთაგან დ. კარიკაშვილი სრული-
ად არ სთვლის „დასაწყისს“ რუსთველის ნაწა-
რმოებად. ამავე აზრს იზიარებს კ. კეკელიძე (იხ.
მისი „ქართ. ლიტ. ისტ.“, II). ხოლო პ. ინგო-
როყვას აზრით (იხ. მისი რუსთველისა „I) ორი
ნაწილი „დასაწყისისა“ რუსთველის არის, —
„მიძღვნა“ (5 სტროფი, ინგოროყვას მიერ რუს-
თველისად ცნობილი) და „შაირობა“, მხარამ
ეს ორი ნაწილი რუსთველს ორი დამოუკიდებ-

* იხ. ამაზედ ჩემი გამოკვლევა ამ გამოცემის
მე-III წიგნში. აქ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ
თვით ი. აბულაძეს („ვ. ტ.“-ი გვ. 316-318) მხო-
ლოდ 6 უმნიშვნელო ნიშანი მოჰყავს „მაჰმა-
დიანური“, დანარჩენი აუარებელი — ძველი და
ახალი აღთქმითგან და სხვ., აღმოჩენილი „მაჰ-
მადიანურ“ „ვ. ტ.“-ში!

ბელ პროლოგად დაუწერია, ხოლო „მიჯნურობა“ ჩანართი არისო. — „მიჯნურობის“ ნაწილი შინაარსით ოდნავ მაინც ეწინააღმდეგება თვით „ვ. ტ.“-ის მიჯნურობას, რასაც სამართლიანად შენიშნავს კ. კეკელიძე. ხოლო ინგოროყვა სცდება, როდესაც იგი ერთს მისი აზრით განსაკუთრებულ წინააღმდეგობას აღნიშნავს „მიჯნურობაში“: მიჯნურობა იქ ვერ „ტურფად“, „საცოდნელად ძნელ - ივარად“, „სიძვისაგან განსხვავებულად“ არის დასახული, მერმე „ქვენა ივრძობადო“. ამ „ქვენა ივრძობას“, ი. ი. „ვ. ტ.“-ში აღწერილ სიყვარულს რუსთველის მოწინააღმდეგე უპირდაპირებს ნამდვილ მიჯნურობას და რუსთველის განსაქიქებლად სწერს, — სწამებს რუსთველს „ხვამიადის გამყვანებლას“, სიავეს; ხოლო მიჯნურობის სიწმიდეს რუსთველის დამცველი ამბობსო, და სხვ. მაგრამ აქ „პოლემიკა“ რუსთველის მიმართ კი არ არის, არც დაცვა რუსთველისა, არამედ მიჯნურობის სწავლაში: ჩამატებულია კიდე სხვა ინტერპოლატორისაგან მისი აზრი მიჯნურობაზედ, აქ მისი მიერ შეცვება მიჯნურობის სწავლისა, რომელიც რუსთველს არ ეკუთვნის, არამედ, ჩემი ჩწმებით, იმავე მესხ - მელექსეს, რომლის ნათქვამს ისევე ემსტებოდა ჩანართები, როგორც თვით იგი „ვ. ტ.“-ის შესავსებლად იღვწოდა. თუ „მიჯნურობა“ შეუძლებელია რუსთველს ეკუთვნოდეს, იგი უძველად მესხ - მელექსისა უნდა იყოს, რათგანაც ასეთი ლექსით მხოლოდ შას შეეძლო წერა და სწერდა კიდევც, — პირველი და უძველესი შემავსებელი „ვ. ტ.“-ისა. ხოლო გვიანდელი ინტერპოლატორისაგან შეცვებულია მესხ - მელექსის კოდექსი მიჯნურობისა, და ეს შეცება მაინც ინგოროყვას რუსთველის წინააღმდეგ პოლემიკად. აქაც თავისი მიზანი აქვს ინგოროყვას, — გაამართლოს მისი თეორია შოთას ცხოვრებისა და ბედისა. — არც არავითარ „ქვენა ივრძობაზედ“ არის საუბარი „მიჯნურობაში“. „მიჯნურობის“ სტროფთა ავტორს (მესხ - მელექსეს) ორი მიჯნურობა აქვს „ნათქვამი“: პირველი საღმრთო, სიყვარული და სიხალე ღმრთისა, „საზეთ“, ციური „საქმი“, მომცემი აღმადრენათა“ და სხვ., ხოლო მეორე, — „ქვენანი ხელობანი“, ე. ი. მიწიერი, ამ ქვესიური გადარჩეული ვნებით სიყვარული (ქალ - ვაჟთა), რომელიც პირველს ემსგავსება, თუ იგი არ არის სიძვა, გარყენილება, არამედ წმიდა და უმწიკლოა. ინგოროყვას სიტყვა „ქვენა“ ახალი აზრით აქვს გაგებული და

აქეთგან წარმოდება მთელი ეს მისი შეცდომა. ხელთ - ნაწერი G - ში არ-არსებულ სტროფებს ნისდევს რუსთველის გაანცხადება მიჯნურობისა მისთვის, „ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა“ და მერმე მისი „საჭოჭმანები საქმის“ ქნა. ხოლო ამ სტროფებს რუსთველისა მისდევს ჩანართი სტროფები, მსგავსი G ხელთ - ნაწერში არ-არსებული სტროფებისა: „თვალთა მისგან უნათლოთა უნატრამცა ახლად ჩენა! აჰა, გული ივა მიჯნურდა, მიჰხვდომია ევლთა რბენა! მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ღებნა! სამთა ფერთა საქებელთა ღამის ლექთა უნდა ილენა!“ — 3. ინგოროყვას მიერ გაგება ამ სტროფისა: „[მე იხვე შემიპყრო ახალმა შთავანებამ] და ჩემს თვალემს, რომელთაც აღარ უნათებს [მზე თამარი], ვით არ მოენატროს მისი ახლად ხილვა! აჰა გული მოიცვა მიჯნურობის ბნედამ და მას დაარჩენია მხოლოდ გაიჭრას ევლად! მითხოვეთ მისგან [მზე - თამარიისაგან], რომელთაც აქვს ძალი დასწვას [თვისი სხივებით] სხელი, მინიჭოს [მისი სინათლის ხილვით] ღებნა სულს: [ახალი ზე - შთავანება] — ქება თინათინის ფერთა (ასე!) [მზისა და ზეციური მნათობთა დასისა] ღამის მოითხოვეს თვით ლექსთა [მზისაგან] გარდმოვლენას“ — პირდაპირ უყვილურესობამდე მისრული თვით - ნებობაა, გამოწვეული მისი დაჟინებული აზრით რუსთველის ცხოვრებაზედ და ბედზედ. ნამდვილად ეს ყოველად უშვირი სტროფი სრულიად მარტოვად არის ევსაგები: „ნეტარი [თამარი] მოისურვებდეს, რომ მის მიერ უსინათლოდ ქმნილ თვალთ [პოეტისა] კვლავ მიეცეს ძალი ხედვისა. აჰა, გული გამიჯნურდა და მისი ხედვრია ევლად გაიჭრას! მიაჯეთ ვინმე [თამარის წინაშე], — მაქმაროს ხორცთა დაწვა, მისცეს ღებნა [ჩემს] სულს, [რათგანაც] ღამის ლექსი აღარ მიყოს სამთა ფერთა [== ტარიელთა ავთანდილ - ფრიდონის] ქებად“. ეს სწერია ამ სტროფში, სხვა არაფერი, და ინგოროყვას განმარტებანიც: „სამთა ფერთა == მზის თინათინთა ფერთა (!), „ლენა“-ის მავიერ „ვლენა“ (იხ. აგრეთვე აბ X, 4) და სხვ. ყოველ საფუძველს მოკლებულნი არიან. — ეს სტროფი იმავე გვიანდელ ინტერპოლატორს ეკუთვნის, ვინც ჩანართი 1* დაწერა, აქ განსაკუთრებით ყურადსაღებში სტროფი 6,4 „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება“, რუსთველის სტროფთა „შესავსებლად“. — ამისი შემდგომი სტროფი: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს,



დასჯერდეს და მას უმნობდეს. მსუმა მიწყევ
 მსუმაკობდეს, მსეომარი გულოვნობდეს. კვლა
 მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსც-
 ნობდეს. არცა ვისკან დაეწუნოს, არცა სხვასა
 უწუნობდეს“ წარმოადგენს რალაც ყრუდ განა-
 გონს პლატონის აზრისა სხვადასხვა ხელობაზედ
 და აგრეთვე დასავლეთ ევროპულ რაინდულ
 მწერლობაში ცნობილ „მიჯნურობის კოდნა-
 ზედ“ და სხვ. ეს უკანასკნელი მესხ - მელექსე-
 საც აქვს ნათქვამი მის მიჯნურობის კოდექსში
 („მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნე-
 ლი გვარი“, ჩან. 2, 5, 1) და გვიანდელი ინტერ-
 პოლატორი ამ სტროფით მესხი - მელექსის
 სტროფებს ისევე „შეავსებს“ როგორც წინამო-
 რბედი სტროფით რუსთველის სტროფებს (იხ.
 ჩანართი 2, 1*, - 2*).

ამ ორი სტროფის შემდეგ, რუსთველის სტრო-
 ფისა და მესხი - მელექსის ჩანართის შუა რიში
 არის ჩახლათული უხერხულად და ერთმანეთ-
 თან კავშირის არა-მქონეც არის, იწყება მესხი
 მელექსის „სწავლა შაირობისა“ რუსთველის
 სტროფამდე „ხამს მიჯნური ნაჭირვებსა მისსა
 ცუდად არ აბრკვობდეს“ და სხვ., რომელიც
 გამართლებს რუსთველის მიერ მისი რომანის
 მეფისათვის მიძღვნისა (იხ. ჩანართი 2: 3 - 4,
 7). ამ ჩანართში სტროფები 5*, 6*, 8* მესხი -
 მელექსის სტროფთა შევსებაა იმავე ინტერპო-
 ლატორის მიერ, ან შეიძლება კიდევ სხვის მიერ,
 — ამას მნიშვნელობა არა აქვს. ხოლო რუსთვე-
 ლის სტროფის შემდეგ: „ჩემი აწ სცანით ყოვე-
 ლთა, მას ვაქებ, ვინცა მიქია“ და სხვ., რომე-
 ლიც აღნიშნავს რუსთველის მიერ პოეტი - მიჯ-
 ნურის მოვალეობის ღირსეულად აღსრულებას,
 მესხ - მელექსეს ჩაუკრავს „სწავლა მიჯნურო-
 ბისა“ (ჩანართი 3: 1 - 9; 12). ჩანართის სტრო-
 ფები 10*, 11* აქაც გვიანდელი ინტერპოლა-
 ტორის შეთხზულია. — ამგვარად მიძღვნის ორი
 სტროფზედ რუსთველისა (4 და 5) გადაუბამს
 მესხ - მელექსეს მისი „შაირობა“ და „მიჯნურო-
 ბა“.

პაოლო იაშვილის ხაოვნას

შენ მოგეწყინა შექსპირი და ყვითელი დანტე,
 მაგრამ რუსთველის გწავდა ცეცხლი და
 ხვამიადი.

ფარშავანგებით შემორკალე მუქი წყვილი
 ახალ შაირის ჩირაღდანი როცა სახეთე.
 უაღლის შალი, ყელსახვევი და ხელთათმანი —
 გზიბლავდა მეტად. ხეტიალში გასცვითე ბეჭვი.
 მაგრამ გიყვარდა უფრო მეტად კალი და კევრი
 და იმერული უტყუარი სწორი ბათმანი.
 იყავ შეუჭურა პოეზიის კაშკაშა ცაზე.
 ეტრფოდი კნუტებს და რქა ალმას ღვინია
 ხარებს.

ლექსები, ღვინო და მწვადები აღარ გახარებს;
 ასე წახვედი შხამისან და წამებულთ გზაზე.
 მაგრამ შენ სახელს დააფენენ დაფნას და იებს,
 და ვინც ახსენებს პოეტების სახელებს მზიანს:—
 გრიგოლს, ტიცინს, გალაქტიონს და ვალერიანს
 ის წენ სახელსაც პირველთ შორის მოიხსენიებს.

გიორგი გამყრელიძე

დალასი, 1952 წელი.

ჩ ვ ე ნ ი მ ხ ა რ ე


მორბის ჯრუჭულა და ყვირილა ამაყი ურჩი
 და ხოდაბუნებს გაღმოსცქერის ძირს „მოლი
 ნახე“.

ცა არის სუფთა, ისე სუფთა და ისე ლურჯი: —
 შაბიამანი შეასხურეს თითქოს ვენახებს.
 თითქოს მზის სხივი იღვენებდა ოქროს ღერებად,
 და თუ ღამეა მთვარის შუქიც ისე ანთია;
 რომ მეწისქვილე თედაოზა „ბამბის წვერება“
 წისქვილის რაფთან, წყალში ისვრის ბადეს
 ზღარტიანს.
 სხვა სურათები: დაირის ხმა... ლხინი...
 ცეღური...

და მოგონებებს ცრემლიანო ღაეყიდები,
 და ხლები ისე სეველიანი და უბედური: —
 თითქოს შენ სულსაც შევიერიენ ქერა სკვითები.

გიორგი გამყრელიძე

დალასი, 1952 წ.



(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მის. წერეთელი

ლექსი დაწერილია პაოლო იაშვილის მოგო-
 ნებით და გახცლით.

ო რ ი ფ ო თ ო ლ ი

რომანიტვან „დალი“

დ ა ლ ი ს დ ო ბ ი ლ ი

უცნაური იყო ეს ქალი: ივლიტე. იგი კოლხეთის ჯიშის იყო, თავად დიდისნთა გვარითგან. იშვა დღენაკლული, შვიდი თვისს. მოწყდა თუ არა დედის საშოს, ნაშვი მყისვე გაფატრულ უშობელის ცხელ ფაშვში გახვიეს, რათა სიცოცხლის ძალა მიმატებოდა. ძალა მართლაც მიემატა, გარნა სასხლი გაუხეიდა.

წამოიზარდა, მომწიფდა, ატყვრდა. ტანი მალა აიყარა. იყო მოქნილი და უზადოთ გამოსხმული. დიდრონ თვალბში ჩამავალი მზის ჭავლი უციალიტდა: ინდუშა. ცქერისას თვალბს ელამურ ნაბავდა. ნაწნავი მისი, მაჯის სიმსხო, არი თუ გრძელი, გოლეულს გავდა, მწიფე უნაბის ფერით ამუქულს. სოთი ცხვირი წინ ოდნავ აწეული იყო: ნიშანი ავზორკობის, თუ არისტოტელს დაევერება. ამ ნიშანს ერთი რამ თითქო კიდევ აძლიერებდა: ზედა ტუჩი სამჩნევად წამოწეული, ქვედას ემაღლებოდა. ბიჯი ტურფასი ნელი იყო, თუმცა არ მოზომილი. ფეხს ისე ადვამდა, რომ მუხლი მუხლს არ ხვდებოდა, რაიცა ქალთ ჩვევითა საერთოდ. ამასთან ერთი დეტალი, რომელიც არისტოტელს გამოპარვია: ფეხის დადემისას ტერფი ტანმღვივანისა თითების მხრით ხაზს განზე ჰხრიდა ირიბათ.

საამეო სუნნელი მისთვის ილონქოში ალერდი იყო და კიდევ უფრო ყნოსვა - მათობელი გასრესილი გვიძრა. ხილს საესებით მამეინ იგემებდა, თუ თვითონ მოწყვეტდა. ფერებში ყვითელი ფერი ესიტყვებოდა მის თვალს და ქარვას ხვითოდ თვლიდა: და მისი ადერებული ყელი ამ ხვითობით იყო მოთვალული.

მარდი იყო და გულოვანი ივლიტე. სიცოცხლის ხალისი მისთვის ცხენი იყო და ცხენოსნობაც ემარჯვებოდა. რიცა იგი, უცვე მოქალბთული, ჭალადიდის ველებში თავისს „ლურჯას“ მიაგულვებდა, გავარდნილი კენტავრი გეგონებოდათ.

ბავშობისას ხშირად გაუძვრენით იგი ცაცხვის ამოგდებულ გაშიშვლებულ ფესვების ქვეშ, რათა ამით ავი ბედი აცდენოდა. გამოძვრენისას გზებდა: თითქო ხელმეორეთ იბადებოდა. უყვარდა ცაცხვის ფართო ყუდრო ფოთოლი და კიდევ უფრო მისი მანელბელი ცილი და ამოკვივ-

რულ მშახლო კორძს მისსა ძუძუთი აღიქმევდა. პირველი ალერსიც ცაცხვად ქცევით იგემა.

სიზმარში უცხო ვაჟმა ვაიტაცა, მსიბლავმა და ძალუმმა. გატაცება ტკბილი იყო და შინარევიც. უცრად ეჩვენა: მომტაცებელი ირემი ყოფილიყო, რომელსაც იგი მხრებზე შემოგედო. ეხლა შიმში მთლად მოიცვა: ქალწული ირმის რქის ტოტებს დაემხო აფართქალბული. მინავარდობდა ირემი დავლით დამთვრალი, მიპქროდა. ქალწული უციოდური გარეკსენელს ერთვოდა. აღარ იყო ზღვარი. ნაპირი უნაპროში ინთქებოდა. გარსი იბინდებოდა. ერთს მოსახვევთან შეჩერდა ირემი ანაზდელადი. ვახლტა ვანზე, ვადმოიგდო მხრებთგან ქალწული, მოეხვია წინა ფეხებით გაშვართულ ტანს და უწყოლოშნა სხივილბით. ქალწული რისხვამ აიყვანა. გაუსხლტა ხვევას, გავარდა განზე და: უცრად ცაცხვად აღიმართა. ირემი აიმიღრა, ასეულდა, აბორდა, ეძვრა ხეს რქებით და: იწყო მისი რქენა გაშმაგებით. რქენა ბრაზიც იყო და ალერსიც. ქალწულისათვის შიში აღარ იყო: ალერსის სიტკბო ეხლა ხეში იღვენებოდა. იღვენებოდა: მის ფესვებში, მის ტანში, მის ტოტებში, მის ფოთლებში. ცაცხვი-ქალი ხალისით იბადრებოდა. ირემი გავარდა რეტდასხმული და გამგუნბული. ქალმა თვალი გააყოლა. შეპკროთა: ეს რაა? „ჯვეგი თვაალ?“ ირემი თეთრ ჯიხვად ქცეულიყო, სვანთა წმინდა ნადირად. მერხა ერთიანად თვალ-მოხიბლული. ეხლა კიდევ დალონდა რომ ცაცხვად იქცა. გამოიღვიძა. რული აღარ მიჰვენია: ლამე თეთრად გაათენა.

შემდგომ ამ ზმანებისა იგი არა მარტო ცაცხვს იჩნევდა თავისად: მისთვის ყოველი ხე მისიხიდეელი გახდა, განსაკუთრებით ტანმაგარი ნუხა. ხშირად იჯდა მუხის ქვეშ დაყუდრული და ჩამოცვენილ რკობებს ჰკრებავდა არჩევით, თითქო თითებით სინჯავდა: ხიბლავდა მათი იდუმალი მოყვანილობა. გარნა თუ მუხა ნამეხარი იყო, მას გვერდს უქცევდა: გამოფატრული ფაშვი ხისა ამომწვარი საშოდ ერევენბოდა.

იყო დროდადრო ფიქრდამძიმებული — მამვენ იგი მდინარისაკენ მიემურებოდა. იჯდა ხანდახმით მის პირას და ისმენდა გატრუნვილი მის მინელბულ ქჩიისას. ნელი დულენი მდინარის



ერთგვარ პაუზას ჰქმნიდა და: დედუნს შერთუ-
ლი ყოფის უფსკერო დენას წვდებოდა.

ერთხელ თავს წააწყდა გლეხებს, რომელთაც
მესამდევე გაერღვიათ მიწის მკერდი, ხან აქ ხან
იქ, რათა საგულგებელი წყაროს-თვალი აღმოე-
ჩინათ. ამაოდ: ვერ მოენახათ. ივლიტემ მიმოე-
ლო მიდამო, მოყნოსა ნიადგი აქა იქ გაგანიე-
რებული ნესტოებით და ბოლოს ერთი ალაგი
ანიზნა გლეხებს: აბა, აქ სცადეთო! გლეხებმა
გათხარეს მიწა ალაბანახეარი: სიღრმით და:
ფსკერთან უცვრად ცინცხალა წყაროს-თვალი
ამოხალისდა. ახალისებული გლეხები იამტერე-
ბით ეწერდენ მისანს: ქალწული ესლა თვითონ
იყო წყაროს-თვალი. საოცარი შემდგომ კიდევ
ის მოხდა, რომ: როცა ეს წყარო გოლგის დროს
დაიმრია, ივლიტეც კინაღამ დაიწრია.

და მაინც: წყაროს წყალს იგი კლდითგან მო-
მსკდარ ნაკადს არჩედა. გაზაფხულს პირი უჩ-
ნდა. ივლიტე სოფლის ვარქთ ცხენით მისეირ-
ნობდა. თან ახლდა მოურავი, ისიც ცხენით. უე-
ცრად თვალი მოჰკრა: კლდის ერთი ნახეთქით-
გან ნაჟური ჟონადდა. უბრძანა მხლებელს: იხი
ხანჯლით გაეღრმავებია. მოუწავდა ასარულა
ბრძანება და: კლდის მკერდითგან წამსავე რქასი-
მსხო ნაკადი ვადმოთქრიალდა. ივლიტე გადახ-
ლტა ცხენითგან და თვალხასხას ჩქერალს მო-
მყურებელი შევიღვითა დაეწაფა. იყო შთაბე-
ჭდილება: თითქო მთელი ტანი სვამდა წყალს,
ათქვირებული და კლდისაკენ შნოიანად გადა-
შვილდული.

ასე ფესვევულ მხარ-იქმოდა იგი ბუნების ყო-
ველი მოვლენისა. ზღვარმოუვლელი როგორც
ქალი — ქალური ქალში ზღვაა, ვაჟური ვაჟში
კუნძული — იგი უზღვაროში გადადიოდა. ცი-
ლი მისი თვითებისა უფსკეროთგან მობერილ
სუნთქვაში ინთქებოდა—შთანქვას მისი პირიფ-
ნული ფილა ინთქავდა. იცებოდა იგი ქალურით
როგორც დაჟაჯა ნიჟარა ზღვის შუვილით. აქ

იყო ბუნი, ღნიოში, ქაოტიური, რომელიც მუ-
დამ მზის ჩქერალს ელის, რათა ნათელი სხეი-
ბით გამოიქმნას. გარნა რომელი ვაჟის მზე იქ-
ნებოდა კამაყოფელი ქალურით ეგზომ აგსილ
ქალისათვის? და ივლიტეს ნატრვა ნაღვლად
იქცეოდა.

ეს ნაღველი მას დაქმარებულსაც არ სცილ-
დებოდა. ქმარი იულონ მას უაღრესად უყვარ-
და, ხოლო მის ქვეცნულ არეში „ქალი“ მზე-
ვაჟს ელოდა. ნაღვლს ნაღვლიანს ისიც უმძაფ-
რებდა, რომ იგი დედად ვერ გამხდარიყო: უნა-
ყოფო გამოდვა. ქალი გაუშლელ ქალად დარჩა.

ღლისით ანკარა იყო: ნათელი, სხვიმფენი, თვი-
ნიერი, გულგახსნილი. ღამით იმღვრეოდა, იყო:
უთვისო, კუშტი, ჩათხრობილი, ანხლი, ზნიანი.
ღამე მის ხილვამი იმღებოდა ვითარ ვეება შა-
ვი კატა მითიური: და ჰყავდა შავი უნიშნო
კატა, რომლის თვალთა ფოსფორული კიფი მის
საიდუმლოს თითქო ამქლავებდა. თვითონ მე-
საიდუმლოვდ კი მისთვის მთვარე იყო: და ყვი-
თელი კატა, მთვარის მსახიერებელი, მის კალ-
თაში ხშირად ესვენა. ტკებოდა მისი თველი-
თი გრუტუნით და სიცხადეთგან ზმანეულში გა-
დადიოდა. ამ დროს მთვარე მას ხან ტიტველ
ქალად ესახებოდა, ხან კი ქალის ნაყოფად.

დღესაც ასე მოხდა. ივლიტემ დაწოლის წინ
მიმოვლო ვარემო. შესვა ღამემ — იცისო ღა-
მით. დაბრუნდა შინ. მიწვა, მიიძინა ნახევრად.
რულში მოეჩვენა: მთვარე—ესლა თითქო მისი
ნაყოფი — უეცრად შთაქე ვასკდა და ერთი ნა-
ხეარი მდინარეში ჩავარდა. წამოდვა ქალი, გა-
ვიდა ეზოში, გაემართა მდინარისაკენ როგორც
მთვარეული. ცაზე ნახევარი მთვარე ამოსული-
ყო. მიუახლოვდა მდინარეს და: იქ მთვარე ნახე-
ვარს მოჰკრა თვალი. ქალი შეიჩხა და ბნედა-
მოკული ლელში ჩაიკეცა. „ნიჟარა“ საესე იყო
შუვილით.

ლილი

ჯახუნდერიოთგან გაბრუნებულნი, სვანი გა-
მწკირვებით მიდიოდენ კლდეებში. ხშირად წა-
ვარნა ხედებოდათ და: ბიჯი მათი ნელი იყო
და მოზომილი. იყო თოვლი და გზა მით უფრო
სახიფათო. ვიდოდენ ღამით. ღლისით თოვლის
ყინვად შემტკიულ ქერქს მზე იხარავდა და
ეშინოდათ მარცხულ ფეხდადგმის ლელში, თუ-
მცა მათს ფეხს ნადირის ვნება ჰქონდა. სიტყვა

აქა იქ თუ გაისმოდა და ისიც მხოლოდ როგ-
ორც ჩურჩული. უმეტეს წილ სდუმდენ. კაცთა
დუმილს ნთქავდა ღამის დიადი მდუმარება.
დუმილში ერთადერთი ფიქრი ლვიოდა, მწვა-
ვი და მწარე: როგორ დადემქელიანმა „უს-
ხვა“ მოჰკლა, შეწირული ხარია? მიმავალნი
მიეშურებოდენ თავიანთ სახლკარისაკენ, დამე-
ხილნი შემზარავი ამბავით, ხოლო მით უფრო

განრისხებულნი, დღისით იცემა ფრთად გადმო-
შლილ კლდის ფერდის ქვეშ ისვენებდნენ. სიტყ-
ვა აქაც ძვირი იყო. უსხდენ ყუდრო ცეცხლს.
თვალი თვალს არ იყრთა.

მესამე ღამემ განვლო. სევანი ეხლა ლატვია-
რის უღელტეხილზე იყვენ. ალიონი, ითერო-
ლი ზღვარი ღამისა და დღის შორის, მიიღია
და: უეცრად ამოტივტივდა მსატყვევებელი სიუ-
ხვით ცხრათვალა მზე. შესდგენ მიმავალნი ერთ
კონცხზე, შეჩერდნენ ვითარ ღვთაური მზევაყის
ნიმართ და: უსიტყვო ლოცვით მზერად იქცენ
განლაგებულნი. გავიდა ორიოდე წუთი. განლი-
გებულებმა მიმოავლეს თვალი, ხანდახნით, აღ-
მაფრენით განვრცობილ არეს. ლაყვარდოვან
უკიდურში გამოჩნდა ზვიადი მასსიფი კავკასიის
ქედისა, რომელსაც ესხმოდა სხივქერალი მთ-
ძლავრებულნი მზისა. შეირხენ სევანი. იმართებო-
დენ შორეთში უხარმარნი კლდენი — რუხ
გრანიტების ხავესიფერ ბაზალტების, მეწამულ
პორფირებს — მითიურ ვეშაპებოვით განაბულ-
ნი. იყო ვიზიანი ტელურითული ატეხილობის,
ყინულისა და თოვლისაგან მოოჭვილი. თერებო-
დენ მზერით ნეზავრები. პირისპირ: მხარა, ქედ-
მალალი; მარცხნით: თევთსულდი, მხიბლავი სა-
სძლო; მის მარცხნით: ორრქიანი უშა, ძალე-
მი სასაძო; მარჯვენა რქის იქით მისსა: თვითონ
მთავართმთავარი: იალბუზი. მყინვარნი და ნა-
პრალნი, ქაოსითგან ამოხეთქილნი. ცითვან ხვი-
თოების ღვარი მზისა და შორს შორს ჰორიზონ-
ტის გასწვრივ ზღაზნვით გაწვდილი მთქი იის
ფერი ნისლი, თვლემში რომ იხთქება ნელი-
ნელ.

თვალმთვრალნი მიმავალნი მიქვავებულნი იყვენ
ციცაბო ნაპრალს. მზერა დაეშვა ძირს. გაიშალა
ენგურის მიდამო. ეს იყო სევანთა მიწა, მათი დე-
დულო და მათი მამული. უშალეს უტკბილესმა
ტალღამ გაიბინა ორმოცდაათ სხეთლში და:
მძაფრი ჟრუანტულით ტანი ტანს ესხეულა. კრე-
ბული ერთი არსი იყო ეხლა. მოვარდნილ ტა-
ლას საწვები უნდა მიცემოდეს — თუ არ მის
მიერ გამოიწვეული შეება ორმოცდაათ ტანიან
არსს მოაჩრობდა. და აი დასტეჭა იერთმა ხტილმა
კრებულისა: „ოთოი დაა ლილვეოთი“. ამას მო-
ჰყვა ბანთა მძლეუთამძლევი გუგუნნი: „ისკვამი
დიდებთი პინგოთაა შილიქემაა ლილვეოთ და
ლილვეოთ და ლილი-ლე-ოთ“, ორმოცდაათ ტა-
ნიანი არსი მღეროდეს და თვითელი ტანი ორ-
ფეოსი იყო მითიური. აღმამწერნი ჰიმნი იმ-
ვებოდეს მშობლიურ არეში ვითარ კოსმიური

ხორალი. ფრინველმა ფრენა შეანელა, ნადირს
მოეშვა გმინვა. მღერალთ მოსწყდათ სიმძიმე.
დაავიწყდათ ყველაფერი, აღარც „უსხვა“. ახსო-
ვდათ: ღვთაებით იყვენ: აყვანილნი, რომელიც
მეტი იყო ვიდრე მისთვის შეწირული ხარი.
მღეროდა ორმოცდაათ ტანიანი არსი. ყოველი
ტანი სამოთრაკის „მარჯი“ იყო ეხლა, ლეგერ-
ში ნოთავებულნი, ღვთაურ ქცეული ფრთებით
გაფრენას რომ აპირებს უსაზღვროებაში, ფატუ-
მის კაპრიზით თავმომტყრეული, ხოლო ამითვე,
ჰოი საიდუმლოებაჲ, რაღაც განგებით ფრენისა-
თვის „რაციოს“ სიმძიმეს მოცლილი.

„ოთოი დაა ლილვეოთი“.

გრიგოლ რობაქიძე

მ ი ნ ა წ ე რ ი :

1. რომანი „დალი“ გამოვიდა გერმანულად
1934 წელს, სხვა სათაურით. ფრანგულათ თარ-
გმნა მათე კერესელიძემ. დამუშავებული ტექს-
ტი თარგმნისა დაკარგულა. ჩემი პარიზში ყო-
ფნის დროს 1943 წელს ხმა მომესმა: თარგმანი
ერთს პარიზში მცხოვრებ ქართველ ქალს აქვს
— გვარი არ მახსოვს. იუგებ მოინახოს.

2. „დალის დომილი“. ქართულ ტექსტში
უფრო გრცლადაა. ლელში ჩაკეცილ ქალს თავს
წააწყდება სახელგანთქმული მონადირე: სევანი
თანბი, რომელიც ამ ქალივით არის ატეხილი,
მხოლოდ ვაჟური ხაზით: იგი „დალელუკდუ-
ნეა“. (დალით იგზმავებული, სევანურად.) ქალი
„დალად“ მოეჩვენება. (რომლისა კვანძი სევანთა
„დალი“ არის.) მათ შორის იშვის ტრფობა,
რომელიც სხეთლურ ტვობაში, უკანასკნელში
არ გადადის. დრამატიზმი: ქალი ვაჟის ტრფო-
ბაში ხან რეალური ივლიტეა, ხან მითიური
დალი: იშვითად ორივე იერთად. მკითხველი წა-
რმოიდგენს, თუ რა სიძნელე მქონდა აქ დასაძ-
ლევი. (მეხმარებოდა სევანთა ყოფა, რომლითგა-
ნაც ეს მითოსი ამოცნებულია: ვშლიდი ამ
ყოფას, ცენდებოდა მითოსი.) ერთხელ ვაჟში
ივლიტე „დალს“ გადაძლევეს და: ვაჟი, მითოსის
ხაზით, ილუბება.

3. „ლილეს“ ვებეჭადე ხსოვნისათვის იუნატე
გაბლიანისა. იყო ნამდვილი სევანი და რომორც
ასეთი ნამდვილი ქართველი მამულიშვილი. და
თანვე: ნამდვილი ვაჟკაცი, სწორუბოვარი ივე-
რიელი პროფილით. მწერლობდა: დაგვიტოვა
რამოდენიმე ლირსმესანიშნავი ნარკვევი სევან-



ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცავებში

A. ვატიკანის ბიბლიოთეკა

I

„ხელნაწერთა იდა ლიტერატურულ ძეგლთა რაოდენობით, შენახულობით და ღირებულობით ძველ ქართულ მწერლობას, სხვა ერთა მწერლობა, ფარდა ბერძნულისა, ნაკლებად შეედრება“-ო, სწერს ბ. კ. კეკელიძე მის ქართულ ლიტერატურის ისტორიაში (ტომი I. გამოც. მე-2, გვ. 25).


ყოველი შედარება ერთობ გადაჭარბებულია და, თუ გინდ მრავალ მხრივ მართალი, ის მუდამ მოიკოჭლებსო, ამბობს ლათინური ანდაზა. სინამდვილეშიც ასეა. შედარება მხოლოდ იქაა სამართებულო, სადაც საგანთა დაპირისპირება, ყოველმხრივ თუ არა, მრავალ მხრივ მაინც არის შესაძლებელი; სადაც საერთო პირობები იმ სახისაა, რომ ზოგად - მსგავსების გამოძებნა და წინდაყენება საჯეროც არის და საფუძვლიანიც. ამგვარ პირობების გამოახვა - კი ერთობ ძნელი რამ გახლავსო, რადგან ერთა შორის სხვაობა და თვითსახეობა ბევრად აღემატება მათ შორის არსებულ მსგავსებას და თანაბრობას. ამ სხვაობას ძალუძს თავი იჩინოს თვითიველი ერთს ამა თუ იმ ყოფაში, უფრო მის კულტურულ და პოლიტიკურ ვითარებაში. ამ მხრივ კმარა ქართულს წინაუყენით ბერძნულ - რომაულ - ასურული მწიგნობრობა იდა ზოგადი კულტურა, რომ ჩვენს თვალ წინ აღიმართოს ის დიდი სხვაობა, რომელიც თავიდანვე ცხადდება ჩვენსა და მას შორის.

ბერძნულად მეტყველ მსოფლიოში ქრისტიანობამ რა შეანათა, აქ მას დახვდა უკვე უმსაღეს საფეხურზე აყვანილი ძველი კლასიკური კულტურა. მთავარი იარაღი ახალი იდეების ასაცნობლად და ასათვისებლად — ენა უკვე მზად

იყო: ხალასი, დახვეწილი, ზუსტი, ფერადოვანი, ყოველ მხრივ დამთავრებული, ბერძენ პოეტთა, ფილოსოფოსთა, ისტორიკოსთა ბრძმედში გატარებული, განწმენდილი, განსპეტაყებული. თვით საღმართო წერილიც - კი ბერძნულ ენაზე იყო მიწოდებული. მეტი რა ესაჭიროებოდა ბერძენ - ქრისტიანებს, რომ ამ მხრივ მაინც ხელშეუშლელად წარმოეჭმნა ახალი მწიგნობრობა და კულტურა?

თითქმის იმავე მომარჯვეებსა ვამჩნევთ ლათინური ენის მექონე დასავლეთში, სადაც რომის მძლავრმა იმპერიამ შექმნა ძლიერი, მაგარი, მოსალტული, ზოდად ჩამოსხმული ენა. ამ ენას მხოლოდ გაქრისტიანება მოეთხოვებოდა. ამ სახის გენიოსიც აღმოუჩნდა ლათინთა ეკლესიის მესამე საუკუნეში. ეს იყო აფრიკელი ტერტულანე, ვინც რომაელთა მეტყველობა ადაესო ახალი სულისით და ახალი შინაარსით — ქრისტიანულით. იდა სწორეთ ტერტულიანით დაიწყო ლათინურ - ქრისტიანული კულტურის ფართის გაშლა, აყვავება და განვითარება.

არა ნაკლებ კარგ ყოფაში მოჩანს არამაჟული ენა, რაც თითქმის ერთი და იგივე სირიული ენის ასურული ენაა. ალექსანდრე დიდის დროითიან ბერძნულის შეჭრამდე, საერთაშორისო დიპლომატიურ ენად მთელს აღმოსავლეთში ცნობილი და მიღებული იყო არამაჟული ენა. ამ ენაზე იწერებოდენ ბრძანებანი სპარსეთისა, და ბაბილონის ბატონებისა მათ ხელქვეითთა მიმართ. მე - III საუკ. ქ. წ. არამაჟულს მიერთო ბერძნული და ეს ორი ენა საჯარო ხმარებაში დარჩა ქრისტეს შემდეგაც. ყველა ეს მოწმობს, რომ სირიაც, ქრისტიანობის გამოჩენისას, კულ-



თის შესახებ. ვაჟი მისი გვი მწერს ამერიკითგან: 1937 წელს დააპატიმრეს და სადღაც გადაასახლესო. ორი წლის შემდგომ ცნობა მიეღოთ, არა ოფიციალური: ბოლო მოღებოდა. თუ მტრად თვლიდენ — ამ წუთს ამ ფიქრმა მიეღვა — მოემვათ მის პირისპირ თუ გინდ ხუთი კაცი: ხუთსავე მიაღავებდა მიბეგვილს ქრთიმეორეზე. დარწმუნებული ვარ: სიკვდილის წუთს „ლილეს“ თუ ვეღარ იმღერებდა, „ლილე“ თვითონ გასძახებდა მასში. ვანუსვენოს უფაღმა.

4. კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძესაგან ვაგონილი. მელიტონი გაცნობოდა პეტერბურგში, საცა დიდ ხანს ცხოვრობდა, ფილოსოფოსის ვლადიმირ სოლოვიოვს. ერთხელ ემღერა მისთვის „ლილე“. ფილოსოფოსი ისე აღტაცებული იყო, რომ „ლილეს“ მოსმენის შემდეგ აღარ სურვებია სხვა რომელიმე ჰიმნი მოესმინა. წარმოცდენილი მატქს, რა იქნებოდა: „ლილე“ გუნდის მიერ მღერილი რომ მოსმენოდა.



ტუტურულად ფერად მსალა ხარისხზე იდგა და ქრისტიანობის თავისებურათ გაგება და ასახვა მისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო და არც იყო, მით უფრო, რომ თვით ქრისტეს და მისი მოციქულების ენად არამათული ითქმოდა.

მათთან შედარებით რა პირობებში გვევლინება ჩვენ ქართული კულტურა, უფრო - კი ქართული ენა იმ ხანად, როცა ქრისტიანობის სხივი ეფინებოდა ჩვენს მიწა - წყალს?

არმაზ - ციხის ქართველ პიტაგორა ნეკროპოლში ახლა აღმოჩენილმა ეპიტაფიურმა წარწერებმა ნათელი ყვეს, რომ მესამე და მეოთხე საუკუნეების ქ. შ. იბერიაში ხელის - უფალთა ენად ითვლებოდა არამათული - ბერძნული; ყოველ შემთხვევაში ნაპოვნი დოკუმენტები არ ადასტურებენ ქართულის ხმარებას სახელმწიფო ენად. მაშ, ქრისტიანობის გამოჩენისას, ახალი კულტურის შესაქმნელად საჭირო იყო ახალი შესატყვისი ენაც, ერთი ნაირად წარმოშობა ახალი ენისა ახალი საზრების მატარებლად. ეჭვი არ უნდა, სახარების პირველი მთარგმნელთ საქართველოში ის დაემართათ, რაც ლუტერს გადახდა გერმანიაში: „ყოველა შემთხვევა, რომ თუთხმეტი დღის, სამი - ოთხი კვირის განმავლობაში ერთად - ერთი სიტყვა იცვლებოდა ჩვენ, სხვაგანაც მოგვეკითხოს და ზოგჯერ მაინც ვერ გვეპოვნოს“ -ო. ქართული სიტყვისათვის ბრძოლის ანარეკლს ჩვენ ვაშინებთ თვითონ ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის მოღვაწეობაშიც. ისინი თავს დასტრიალებდნ არა თუ ქართულ წინადადებას, ზოგად და საერთოდ, არამედ ცალკეულ სიტყვაშიც - კი. ამ ენის შესაქმნისათვის დაწერენ ქართველნი საუკუნეთა მანძილზე და მის შეალიეს უამრავი დრო, კი ნაწილი მათი გონების ძალდონისა. გავიხსენოთ ქართული ენის ქება იოანე — ზოსიმეს მიერ და ყველაფერი ცხადი შეიქმნება. ამ ენისათვის ღვაწლს ამჟამად არ ჩაუვლია. ეფრემ მცირის ჟამს ქართული შეიქმნა ბერძნულის თანტოლი, იმავე მოქნილობის და სიღრმის მატარებელი. ვერ მონახავთ ვერც ერთ ენაზე ისე ზუსტს და ზედმიწევნით თარგმანს ბერძნულისგან, როგორც მას გვაძლევს მაგ. ეფრემ მცირე. ეს მოვლენა აროდეს უნდა გამოგვგებაროს მხედველობიდან, როცა ქართული მწიგნობრობას ვადაჩვენებთ ზემოთქმულ სამი ერის ლიტურგიატურას. ამიტომ არაა სათაკილო, არც ნიშანი ჩვენი გონება - მცირობისა, რომ საქართ-

ველოს არ გააჩნია ტერტულიანეს, გინა ავგუსტინეს თანასწორი გენიოსი.

საქართველოს საამისო დროც - კი არ აღირსა განგებამ. მის ყოველ ჟამს ვარემე ტერტი უღა ნობათში და ჯერს ელოდა, რომ იგი წაეღეკა და ფეხქვეშ გაეთელა: ჯერს სპარსი, მერს არაბი, შემდეგ მონგოლი. ამან ხომ ქართველებს დიდი ხნით იგაგდებინა ხელითგან ხმალთან ერთად კ ა ლ ა მ ი ც. ეს - კი სიკვდილის უცილო ნიშანი თუ არა, უღავა მათუწყებელი მაინც არის ე რ ო ვ ე უ ლ ი სულის დაცემისა, მისი ღრმად დაქვეითებისა. ეს დაქვეითება ჩვენში იქამდის მივიდა, რომ ტეატინელთა მისიონარს არქანგელო ლამბერტის შექმლო ეთქვა მწიგნომეტე საუკუნის შუა წლებში: „ქართველებს ბევრი წიგნი მოენახებათ მათ წესიერ ენაზე დაწერილი. მართალია, ზოგიერთ მათგანს ეხერხება ამ წიგნების კითხვა, მაგრამ ერთ - მათგანსაც არ ესმის რას კითხულობსო. და თვითონ (წიგნის) კითხვაც, ქალთა შორის რომ არ შენახულიყო, მათთვის სრულიად უცნობი რამ იქნებოდაო“ (კოლხიდე საქრა, ნეაპოლი, 1657, გვ. 38). ამისდა მიუხედავად ქართველი ერი რაღაც სასწაულ - მოქმედებით გადურჩა მის ეროვნულ და კულტურულ სიკვდილს, მაშინ როცა აფრიკის და მცირე აზია - მესობოტამიის ბრწყინვალე ქრისტიანე ერი და მისი მწიგნობრობა სამარადისოთ შთანთქა ზედმისეულმა უცხო მოღვმის და უცხო სჯულის ხალხმა.

ამიტომ, ერთ მხრივ მაინც მართალია კეკელიძე როცა უთითებს ძველი ქართული ლიტურგიატურის იმ უზარმაზარ განძზე, რომელიც დღემდე ვადალურა ჟამთა ჩლვევას და სე - კაცთა მკრეხელობას. ხოლო იგივე ავტორი დასძენს, ეს უზარმაზარი ლიტურგიატურა ეხლაც არაა მთლად ცნობაში მოყვანილიო, ე. ი. არც კი ვიცით დანამდვილებით ჩვენთვის რა დაუტოვებით ჩვენს წინაპრებსო. მაშ ჩვენი მთავარი და საწინაო მოვალეობა დღეს უნდა იყოს ამ ნაკლის ამოცხება: ვადმონარჩომ ძველთა გაცნობა, აღწერა ხელნაწერთა, კატალოგების შედგენა და გამომქვეყნება.

საქართველოში დღეს დატულია სამი დიდი ფონდი ქართული ხელნაწერებისა: 1. საეკლესიო მუზეუმისა (ფონდი A); 2. წერა - კითხვის გამამარცხელებელი საზოგადოებისა (ფონდი S); 3. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა (ფონდი H). 1930 წელს სამივე კოლექცია გა-



დატანილი და მოთავსებული იქმნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მათი საკუთარი სივრცეების ქვეშ (A. S. H.). A კოლექციის ასე თუ ისე გამოსაყენებელი კატალოგები შეადგინეს თ. ჟორდანიანი და მ. ჯანაშვილმა. S კოლექციისაგან მეტწილად საერო ლიტერატურის აღწერილობა მოგვცა ექ. თაყაიშვილმა, სასულიეროსიკი დ. კარიჭაშვილმა. ხოლო დღემდე არც-კი არსებობდა კატალოგი H კოლექციისა და გელათის ხელნაწერთა. ამ უკანასკნელთა ჯერეთ დაუბეჭდავი აღწერილობა ეკუთვნის კ. კეკელიძეს, სულ ახლად დაწყებულა H ფონდის კატალოგთა შედგენა. უკვე გამოსულა ოთხი ტომი. რომის საეკლესიო აღმოსავლეთის ინსტიტუტმა შეიძინა ამ კატალოგთა მესამე ტომი, შედგენილი ქრისტიანე მარხაძის მიერ (თბილისი, 1948). შიგ აღწერილია 500 ქართული ხელნაწერი (№ 1.000 - 1.500). როგორც შედარებამ დამარწმუნა H ჯგუფი მთლად არ არის გამოყენებული და ჩამოშვებული კეკელიძის მიერ მის ისედაც უზარმაზარი ტანის (724 გვ.) საეკლესიო ლიტერატურის ისტორიის ნეთრე გამოცემაში. მამ ესეც თხოველმას ახალ გადამუშავებას*).

ხოლო ბევრად უკეთესია ქართული ხელნაწერთა სვე-ბედი უცხოეთში. იერუსალიმის და ივირონის ქართული ხელნაწერები ჩინებულად აღწერა ბლეიკმა. სინას მთისა აღწერეს უკვე კაი ხანია ივ. ჯავახიშვილმა და ნიკო მარმა. ჯავახიშვილის აღწერილობა, სამწუხაროთ, ჯერეთ დაუბეჭდავია. დაუბეჭდავია ასევე სხვა კატალოგები ამ ხელნაწერთა, ფარდა მარისა და ცაგარელის აღწერილობისა. ყველამ უწყის, რომ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა საფუძვლიანი აღწერა ეკუთვნის თაყაიშვილის კალამს. ინგლისის ქართულ ხელნაწერთა აღწერაზე იმუშავეს ბ.ბ. უორდროპმა (ბრიტიშ მუზეუმი), ბლეიკმა (ქემბრიჯისა), პ. პეტერსმა აღწერა ერთად-ერთი ჰაგიოგრაფიული ძეგლი ბოლდეიანასი ოქსფორდში. ამ ბი-

*) ვატიკანის ბიბლიოთეკას მისი დასაბეჭდ წიგნთა სიაში უკვე შეუტანია და გამოუქვეყნებია სწორეთ ამ წიგნის თარგმანი რომელიმე ევროპიულ ენაზე. ამ სტრიქონების ავტორმა იყისრა მისი დამუშავება გერმანულად, თუმც-კი სიაში მთარგმნელად დასახელებულია იტალიის გზლანდელი ელჩი სპარსეთში, რომელმაც ვკონეს, ქართული სულ არ იცის.

ბლიოთეკის დანარჩენი ხელნაწერები დღემდე აღუწერელია. იმედია იქ მყოფი ქართველები იყისრებენ ამ ნაკლის შევსებას. აწ-კი დავერჩხა იტალია.

II

ხელნაწერთა შორის ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება 17 ქართული ტექსტი: ორი „ვატიკანის ფონდში“ და ხუთმეტე: „სორჯას ფონდში“. თითქმის ყველა ხელნაწერია, ორ-სამ წიგნს თუ გამოცეკლებთ, როგორც ქვემოთ ვნახავთ.

ა. ვატიკანის ფონდი

1. ვატიკ. იბერიკო № 1. კარგად აკინძული ყდიანი ოთხთავი, ხუცური ხელნაწერი ეტრატხე, სულ 305 ფურცლისი. ფურცლის სიდიდე მისხლოვებით: 22x16,5 სანტიმეტრი, ნაწერის: 15x10 სანტიმეტრი ოჩ სვეტად. სტრიქონთა რიცხვი—24 - 26. ნაწერი კუთხოვან ნუსხურით, ფარდა მათეს სახარების დასაწყისისა ასო-მთავრულით რომ იწყება. აგრეთვე ასო-მთავრულია სათაურები და დასაწყისი ასოები, რომელნიც ტექსტის გარეთ გამოდის. ეს ასოები ჩახაზულია ჩახატულია წითელ-ლურჯად და მორთული ოქროს ვარაყეპით.

პირველი ფურცლის პირველ გვერდზე ჯვარია გამოყვანილი თვისი მონოგრაფიული წარწერით. მას მოსდევს რვა სხვა უსათვალავო ფურცელზე ექსტების კანონი საკუთარი მოკლე შესავალით მოაქრობულ ყვავილოვან თავ-კაზმულ ჩარჩოებში, ფერადებით ნაწერი მინიატურებით. ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მეთავე საუკუნეს. აკინძულია არეულად. ფურცლები 32-39 უნდა იყოს მე-40 ფურცლის წინ და მე-112 ფურცელს წინ უნდა მოექცეს ფურცელი 289.

ხელნაწერში ვნახულობთ მრავალ ხუცურს და მხედრულ წარწერას: ზოგი დიდმნიშვნელოვანია, ზოგი უმნიშვნელო, ზოგი ადვილად იკითხება, ზოგი-კი გამუქებას თხოულობს, რაც ჯერ არ არის შესრულებული. ოთხთავის შინაარსს, წარმოშობას და თავ-დასავალს გვიამბობენ შემდეგი წარწერანი

1. პირველი ფურცლის მეთავე გვერდზე წარწერა ხუცურ-ნუსხური: „მე 1) ყოველთა ადამინს ტომთაგან უნარჩევსმან, ცოდვილმან და საწყალობელმან პალატისა მონასტრისა მოძღვარსი მოძღვარად წოდებულმან გიორგი. მოვი-

1) ასო „მ“ დიდი, სინგური.

ვე ჩემითა ალოითა (ასეა) სასყიდლითა. წმი-
დაჲ ესე და სულთა განმანათლებელი და უსას-
ყიდლოჲ ოთხთავი. ყოვლითა საჭმითა შექო-
ბილი. სალოცველად საწყალობელისა და მწა-
რედ ცოდვილისა სულისა ჩემისა. და მშობელ-
თა ჩემთათვისა²). და დღეგრძელობისა და შენ-
დობისა ჩემისა შეილისა და გახრდილისა მიქე-
ლისათვისა³). წმიდანო ღმრთისანო თქვენისა
მეტფისა (თუ მეფისა?) მადლსა. ვინცა ჰნახოთ.
შენდობაჲ ბრძანეთ. რომელ საუკუნეთა ღმერ-
თმან. და ყოვლად წმიდანან მშობელმან მისმან.
თქვენცა შევიდვენეს და მოგანიჭოს სასუფევე-
ლი ზეცათაჲ ამნ.“³).

სხვა ხელი „დავითს და მისთა დედი მამათა
შეუნდვენ ღმერთმან

მამასა ჩემსა. მოძღვარსა გიორგის შეუნდვენ
ღმერთმან.

ამა. წმიდათა. ოთხთავთა მადლითა. სულსა.
დედისა. ჩემისა. სადაგანისასა (?). შეუნდვენ
ღმერთმან.

მისთა ძეთა. მარცალასა (?). და მინდის და
მიქელს. და იოანეს და მათეს. შეუნდვენ ღმერ-
თმან“.

2. სამი ასო-მთავრული ხუცური წარწერა
ხელნაწერისავე ხელით: ფრც. 90 v: „იესუ ქრი-
სტე შეიწყალე: მონაჲ შენი: სვიმონ: ანნ.“ ფრ.
92 r: ქრისტე შეიწყალე სვიმონ“. ფრ. 221 r:
ქრისტე შეიწყალე სვიმონ“.

3. სხვა წარწერა. ნუსხა—ხუცური, ფრ. 222 r
„ადიდენ ღმერთთა და ყოვლად წმიდაო არხლისა
(ასეა, პარხლისა?) ღმრთისმშობელიო იორთავე ში-
ნა ცხორებათა პატრონი მეფე ალექსანდრე. რომ-
მელმან მოიძია წმიდაჲ ესე ოთხთავი დაკარგუ-
ლი და გამოწირული და აწ ახლად შესწირა და
მოახსენა არხალს (ასეა) ყოვლად წმინდისა ღმრ-
თისმშობელსა. ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობე-
ლო მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ძისა შე-
ნისა პატრონსა მეფეს ალექსანდრეს და დღეგრ-
ძელობით ცოდვანი მისნი შეუნდვენეს ღმერ-
თმან ამნ.“

4. ოთხთავის გადაწერის მინაწერი, ფრ. 279
აენმის სულიზ ღმერთი დ ჟეოზგ ღმერთთა: დაეს-
რულა წმიდაჲ სახარებაჲ ოთხთავი: ხელითა ულ-

იოსისა მიქელ დიაკონისაჲთა: სულიერისა ძმისა
კეთილისა ბერისა სვიმონისათვის ღმერთმან შეა-
წიენ წმიდანი მსახარებელნი: და ახმარენ ნებასა
შინა ღმრთისასა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ამნ.
წმიდანო ღმრთისანო კინისა (აქამდის ასო-მთა-
ვრულით) შურომისათვის ლოცვა ყავთ და რომ-
მელი დამეკლოს შენდობა ყავთ ღმერთსა ფარ-
წმუნოს: და ქრისტემან თქვენცა შევიდვენ ყო-
ველნი ბრალნი ან:“.

5. ფრ. 92 r უზნო ხუცური წარწერა, სადაც
მწერალი ლოცვას ითხოვს: „საწყალობელისა
ბერისა დავითისათვის“. ამას მოსდევს იქვე ძვე-
ლი მხედრული მინაწერი მოქვენი იმავე ლოც-
ვისა გლახკისა დავითისათვის,

6. ხელნაწერის დროის მნიშვნელოვან მინა-
წერებს ენახულობთ ასევე შემდეგ ფურცლებ-
ზე: ფრ 280 პატრისტიური წარწერა; ფრ. 281
v—284 v დიდი წარწერა გადაწერისა, სადაც
ალბად მოკრძული იქნება თარიღი ხელნაწერი-
სა; ფრ. 289 წარწერა ზემოდ დასახელებული
სვიმონისა. ესა მინაწერი ან ძნელად იკითხე-
ზიან ან მთლად გადაშტრაღან.

ხელნაწერის დანაწიენ ნაწილზე ტექსტები
დალაგებულია შემდეგ ნაირად:

ა. ფრ. 9 - 90 v „წმიდაჲ სახარებაჲ თავი მს-
თესი“ მათეს სახარებაჲ სრულიად.

ბ. ფრ. 91 - 92 v თავების სია მარკოზის სა-
ხარებისა. ფრ. 93 - 141 v „წმიდაჲ სახარებაჲ
თავი მარკოზისი“, სრული.

გ. ფრ. 142 - 144 v თავები ლუკას სახარები-
სა (ამ უკანასკნელ ფურცელზე მხედრული მი-
ნაწერი შავი და მოყვითანო ფერისა).

ფრ. 145 - 221 r სახარება ლუკასი. დასაწყი-
სი აკლია. იწყება პირველი თავის მე-5 მუხლ-
ზე (1,5) [დლი] თი დღედ მსახურებისა აბიამსა
და ცოლი მისი ასულთაგან აპრონისთა“.

დ. ფრ. 221 v — 222 r თავები იოანეს სახა-
რებისა; ფრ. 223 - 279 r ცნობილი სახარება იო-
ანესი, სრული. პირველი თავის მე-9 მუხლს აქვს:
„მომავალი სოფლად“, მავიერ ცნობილი საქცე-
ვისა: „მომავალსა სოფლად“.

ე. ფურცლები: 279 v, 281 v — 283 r, 285 r—
288 v, 290 r — 305 v შეიცავს კალენდარი - მენო-
ლოგიონს.

ზემოდ მოცემული წარწერები რომ შევაჯა-
მოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ოთხთავი გა-
დაწერისა ვისმე მიქელ დიაკონს მისი სულიერი
ძმის კეთილი ბერის სვიმონისათვის, რომელსაც
იგი ორ - სამჯერ ქრისტეს საწყალებს, ოთხთავის

²) დედანში სწერია ვე (ვ) და არა ვინი (ვ),
რომელსაც მოსდევს სხვა ი. სტილი: არა კლასი-
კური.
³) ქარაგმები ყველგან ჩემ მიერაჲ გახსნილი .
„ამნ“ უცვლილად დავტოვე: ამინ? ამენ?



შემდგენ - მომგებულად გამოდის ვინმე „პალატისა მონასტრისა მოძღვართ მოძღვარად წოდებულთა გიორგი“. მე - 3 მინაწერიდან ირკვევა, რომ ეს ოთხთავი კუთვნილება ყოფილა არხალის ღვთისმშობლის ეკლესიისა თუ მონასტრისა (შეიძლება სვიმეონ ბერიაც იქიდან იყო). იგი დაკარგულა აღბად თემურლენგის მიერ ქვეყნის რბევა - აოხრებისას, ალექსანდრე მეფედ თუ ალექსანდრე დიდს ეციგულისხმებთ. ალექსანდრეს იგი მოუძიებია და ახლად შაჟირავს და მოუხსენებია არხალის ღვთისმშობლისათვის. მასა იხილ საგულისხმოა, რომ მე-3 წარწერა, სრულად უფრო მეტი არქაულობა ემჩნევა ვიდრე პირველს, ამ უკანასკნელს წინუსწრობდეს ქრონოლოგიურად. მაშინ მოძღვართ მოძღვარი გიორგი საგულგებელი იქნება როგორც უფრო მოგვიანე შემდგენ ოთხთავისა.

სამწუხაროდ, ალექსანდრე მეფის გარდა (1412 - 1443) არ ვიცით ვინ არიან აქ დასახელებულნი პირნი; უფროსი იქითად-კი მოძღვართ მოძღვარი გიორგი. თვითონ სახელწოდება და ხელი მოძღვართმოძღვრისა ცნობილია საქართველოში (იხ. იქ. თაყაიშვილის კარის გარიგება). მაგრამ კამათია მისი ვინაობის, ხარისხის და თანამდებობის შესახებ. საქმდის, ვკანებ, ისიც არ ვიცოდით, რომ საქართველოში არსებობდა პალატის მონასტერი და მას სათავეში უდგა საკუთარი მოძღვართ - მოძღვარი. ასევე ჩემთვის უცნობია — არხალი“. საეჭვოა იყოს პარხალი, რაკი ორგზისვე „არხალი“ სწერია. არხალი არც ვახუშტის გეოგრაფიაშია აღნიშნული.

ესლა თვითონ ამ ოთხთავის ღირსებაზე. ქართულად მოგვებოება ორი მთავარი რედაქცია სახარებისა: **ათონური**, რომელი დღესაც ხმარებაშია და **ათონის წინა დროისა**. რასაკვირველია, ბიბლიოლოგიისათვის უფრო მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი რედაქცია. ბიბლის მეცნიერების იმ მსარტო ამას იხიდან სწავლის საგნად. პირველი პერიოდიდან დღემდე ცნობილი იყო შემდეგი ნუსხები სახარებისა: 1. აღიშისა (897 წ.); 2. ურბნისისა; 3. ოპიზისა; 4. ჯრუჭისა; 5. სინას მთის (№ 9); 6. წყაროსთავის; 7. ქსნისა; 8. პარხალისა; 9. სინას (№ 8); 10. ტბეთის; 11. სოფელ სკვისა (რაჭაში); 12. ბერთაშა (ყველა მეთავე საუკუნისა). ჩემი შეხედულებით ამათ უნდა მიემართოს ვატიკანისაც, ვინაიდან მისი ტექსტი უფრო ახლო უდგას ძველ რედაქციას, ვიდრე ათონურს. საბუთად კმარა მკითხველს გავაცნოთ მსარტოს სახარების დასაბამი (1, 1-3);

„დასაბამი სახარებისა იესო ქრისტესი, ძისა ღმრთისაა. ვითარცა წერილ არს **ესაია წინასწარმეტყუელსა**. აჰა ესე რა მე წარვაგლინო ანგელოსი ჩემი წინაშე პირსა შენსა რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა: ხმა **ლაღდებისა** უდაბნოსა განჰმზადნით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალოვნნი მისნი:“ 1).

ეს ტექსტი რომ ზოგად მიღებულს დაუპირდაპიროთ, ვნახავთ, რომ იქ „ესაია წინასწარმეტყუელისა“ მაგიერ სწერია „წინასწარმეტყუელთა მიერ“ და „ლაღდებისა“ - ს წილ „მლაღდებისა“ როგორც ეს მეორე ბერძნულ ორიგინალშია. ეს ორი გამსმხვევებელი ვარიანტი, სხვა მრავალთან ერთად, ახასიათებს მხოლოდ უძველეს ქართულ ოთხთავს და არა ათონურს.

ვინაიდან „ლაღდებისა“ არი შეიძლება ბერძნულისგან ამოდიოდეს, ამიტომ ფიქრობენ ბიბლიოლოგები: პირველი თარგმანის სახარებისა უნდა ჩამომდინარებდეს არა ბერძნულითგან აქამდე სირიულითგან ან უშუალოდ ან სომხურ-ქრის საშუალებით, რაკი ამ ალავს სომხურსაც „ლაღდება“ აქვს და არა „მლაღდებელი“. სირიულითგან უთითებს აგრეთვე ბერძნული სხვა ნიშან-დობლივი თვისება ქართული ვერსიისა. ვაფიხსენოთ მარტო ერთი, რაკ, ასე გასინჯეთ, ათონის სახარებასაც - კი შერჩენია, იოანეს სახარების მეთერთმეტე თავში (მუხლი 2) სწერია: „ესე იყო მარკამ... **რომლისა ძმა მისი** ლაზარე სნეულ იყო.“ აქ ნახმარია ორი ნაცვალ სახელი „რომლისა“, „მისი“. ორივე მარკამს გულისხმობს. უეჭველია, აქ „მისი“ სრულიად ზედმეტია. ის არაა ბერძნულში და არ შეიძლება იყოს ქართულში, ქართული რომ პირდაპირ და უშუალოდ ბერძნულითგან ჩამოდიოდეს. დამატება „მისი“ არის პირიქით ძირწმინდა სირიული მოვლენა: ანტჰ = ძმა **მისი**. სირიულში „ჰ“ მესამე პირის ნაცვალ სახელია და ჩვენ წინადადებაში „ძმა“-ს აკავშირებს გარეგნულადაც „რომლისა“-სთან. უჰავედ სიტყვა „ძმა“ ჰაერში ჩამოკიდებულ კომკს იმსავსებოდა, რასაც ამირანის ხმალი და ნახტომი დასჭირდებოდა ძირს ჩამოსაგდებად.

ძველი ასური დაახლოვებით ისე აზროვნებდა და მეტყველობდა როგორც ძველი ქართველნი.

1) ამ ოთხთავში სასვენ ნიშნებად ნახმარია: წერტილი, ორწერტილი და სამწერტილი.



ზოგიერთი ცნობები დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონებაზე

(ექ. გივი კობახიძე)

I

ბაგრატიონების გვარეულობაზე და მათსა სა-
მეფო დინასტიებზე ბევრი რამ დაწერილა, ბე-
ვრი სიბნელით მოცული საკითხი გაშეჭებულია.
მაგრამ მრავალი რამ ჯერ კიდევ არ არის გა-
მორკვეული. ამ უძველესი დინასტიის ისტორია
ფრიად საინტერესოა და იწყობს არა მარტო
ქართველ, არამედ უცხოელ მეცნიერთა ყურად-
ღებასაც. ამხვე საკითხით დაინტერესებული იყ-
ვნენ თვით ბაგრატიონებიც. ისინიც, როგორც
ტრადიციით ქებული მწიგნობარი - მეცნიერი,
შემომქმედნი და სწავლა-მოძღვრების დიდი
მოყვარენი, იკვლევდნენ თავიანთი საგვარე-
ულოს ისტორიას. მეთერთმეტე საუკუნის ის-
ტორიკოს - ბაგრატიონმა, სუმბატ დავითის ძემ,
აღწერა ბაგრატიონების წარმოშობის, შთამო-
მავლობის და საქართველოში გამეფების ის-
ტორია. მეთვრამეტე საუკუნეში დიდი კვლე-
ვა - ძიება იწარმოვა ორმა ბაგრატიონმა — ქა-
რთლის მეფემ ვახტანგ VI და მისმა ძემ, ვახუ-
შტი ბატონიშვილმა (1696 - 1772). ქართული
საისტორიო წყაროების შეგროვების, გადასინ-
ჯვის, შესწავლისა და „სწავლულ კაცთა“ კო-
მისიის მიერ კრიტიკულად აღდგენილი ტექს-

ტების გამოცემის პარალელურად — ვახტანგ
VI-ს მხედველობიდან არ გამოუშვია თავისი
გვარეულობაც და პირადი ღვაწლით შეუდგე-
ნია ბაგრატიონების „ნათესაობითი“ ანუ „გე-
ნეალოგიური ხე“. ვახტანგი ბაგრატიონთა შთა-
მომავლობას აღამიდან იწყებს და ამთავრებს
თავისი შვილებით¹). გენეალოგიური „ხის“ ის-
ტორიული ნაწილი ფრიად საინტერესო ცნო-
ბებს იძლევა, რომელიც, როგორც ჩანს საფუ-
ძვლად დაედო შემდეგი დროის ანალოგიური
ნაშრომებს. ეს დოკუმენტი, სხვა უნიკალურ
ძეგლებთან ერთად, აღმოაჩენია თორნიკე ჭყო-
ნიას, 1945 წელს, გორკის (ყოფ. ნიჟეგოროდის)
ოლქში²).

1) ბაგრატიონები თავის-თავს წინაწარმეტყ-
ველი დავითის, სოლომონ ბრძენისა და იესო
ქრისტეს შთამომავლათ სთვლიდნენ, ისტორიულ
სიგელ-გუჯრებს თითქმის ყოველთვის ამ სიტყ-
ვებით იწყებდნენ: „ჩვენ შეფეთ-მეფე იესიან
სოლომონიან დავითიან ბაგრატიონი“...

2) იხ. საქ. სას.რ. მეცნიერებათა აკად. რუსთა-
ველის სახელობის ქართული ლიტერატურის

ლი: მაგ. „კლიტენი საჭურჭლეთანი“, „მიმდომნი
საწუთროსანი“, „ვტვრეტ მწვერვალს მთისას“
და არა „ვტვრეტ მწვერვალს მთისა, რაც
უფრო ევროპიულია ვიდრე ქართული და
სადაც „მთისა“ სწორეთ იმ ჰერში ჩამოვიდე-
ბულ კომკს წაავაგს, რაკი ქართული თხოუ-
ლობს, რომ ერთი წინადადების სიტყვები ერთ-
მანეთან შემტკიცებული იყვნენ არა მარტო ში-
ნამდებარე საერთო აზრით, არამედ გარეგნუ-
ლად, მორფოლოგიურადაც. გავიხსენოთ მაგა-
ლითად სახარების სიტყვები: „იესო წარავლინა-
მოციქული თვისი“. და „იესო წარავლინა
მოციქულნი თვისნი“. თუ გასურთ ქართულის
გენიაც სწორეთ აქ მარხია. რა თქმა უნდა, ძველ
ქართულს ვეღარ დაუბრუნდებთ. არც საჭი-
როა. მაგრამ სხვა არის ახალი ქართული და კი-
დეც სხვა — ახალი ქართულის არა ქართულო-
ბა.

ამ საყურადღებო ხელნაწერის სრულ განხილ-
ვას გაუქების საშუალებით თავის დროზე მო-
გვეცემ ვატიკანის ბიბლიოთეკის ვიჩე - პრეფე-
ტი არნალდო ფან ლანკუტი, რომელმაც კა-
რგად იცის ძველი ქართული.

2. ვატიკ იბერიკა № 2. ყდისნი ხელნაწე-
რი ქადაღზე. მხედრული, შავი მელნით. ფუ-
რცელი სულ 75. სიდიდე 14,5 X 9,5 სანტიმეტ.
შინაარსი ფსალმუნი დავითისი. ჩველებრივ
ტექსტო. წარწერანი: ფრ. 175 v უმნიშვნელო
მხედრული. მე - 176 ფურცელზე ასტროლოგი-
ური შელოცვა მხედრულად. იწყება: „ქ. აქა:.
ხელისა: გახსნა: ერთსა: მთვარისას: ვარგა:
ერთსა. და სამსა. არა ვარგა: ავად: გახდეს.
ოთხსა: ხუთსა: ექვსსა ხმელნიან კაცნიან გაიხს-
ნა: შედისა ავად ყოფა დაერთოს არა ვარგა...

როგორც ვიცით, მე-17-ე და მე-18-ე საუკუნეებში საქართველოს გართულებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ორი მძვინვარება მოახდინა და ვახტანგი, იძულებული გახდა სამშობლოს დასაცავად და რუსეთში გადასახლებულიყვნენ — არჩილი 1699, ვახტანგი 1724 წ. ჰეტრე დიდმა არჩილს საცხოვრებლად ჯპოძა სოფელი ესვენათსკოე მოსკოვთან, აგრეთვე მამულები ნიჟეგოროდის (ებლა გორკი) გუბერნიისში. არჩილის მემკვიდრე, ბატონიშვილი ალექსანდრე, შედეგთან ტყვეობაში დაიღუპა. მემკვიდრეობა გადავიდა დარეჯანზე, არჩილის ქალიშვილზე, მაგრამ ვინაიდან დარეჯანიც უმცირესი იყო, ამიტომ მან თავისი უძრავი-მოძრავი ქონების მემკვიდრედ ვახტანგის ვაჟი, ბაქარი, აირჩია (რომელიც დარეჯანის მკვიდრი ბიძაშვილის შვილი იყო). 1747 წელს დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ, არჩილისეული ადგილი - მამული ვახტანგ VI-ის შთამომავალთა ხელში გადავიდა.

ნიჟეგოროდის ქართველთა მამულების ჟუკანასკნელი მფლობელი იყო ვახტანგ VI-ის შვილიშვილის შვილი — გიორგი ალექსანდრესძე გრუზინსკი (1762 - 1852), იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე და განათლებული პიროვნება. მას ჰქონდა ხელთაწერებით და სხვა სიძველეებით მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც, სხვათა შორის, ზეთის საღებავებით დახატული მისი წინაპრების სურათებიც ინახებოდა. მათ შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს ვახტანგ მეექვსის მშვენივრად შესრულებული, აქამდე უცნობი პორტრეტი.

ამ შესანიშნავ ბიბლიოთეკა - არქივს, რასაკვირველია, თავისი ბედი ჰქონდა. სიძველეთა ერთი ნაწილი დაკარგულა. მეთორე — სტოგოვთა გვარეულობის საკუთრებად გადაქცეულა, ზოგიც სხვა კერძო პირთ ჩავარდნა ხელში. მნიშვნელოვანი ნაწილი დატულია ლისკოვისა და ნიჟეგოროდის მუზეუმებში; ხოლო სტოგოვების ხელთქონებული სიძველენი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შეიქმნა.

გარდა ვახტანგ მეფის მიერ შედგენილი „გე-

ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა: „ლიტერატურული ძეგანი“, ტ. VI, თბილისი, 1948 წ. გვ. 255 - 285; „გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი“, თორნიკე ჭყონასი.

ნელოგიური ხე“-მსა, სტოგოვებთან აღმოჩნდა ზოგიერთი რუსული ხელთაწერები, რომლებიც ბაგრატიონთა დინასტიის საკითხებსაც ეხებიან. მათ შორის აღსანიშნავია:

I. «История Грузинских владений», ავტორი ანონიმურია, რომს გადამოთარგმნილია გერმანულიდან რუსულად 1793 წელს.

II. Выписка из родословной царей Грузинских, предков князя Георгия Александровича Грузинского. ორი ფურცელი. ნაწერი სამ გვერდზე. წარმოადგენს გიორგი ალექსანდრესძის ავტოგრაფს. გენეალოგია იწყება 1464 წლიდან.

III. Родословие царей Грузии. ექვსი ფურცელი. შედგენილი გიორგი ალექსანდრესძის მიერ. ავტორს ეს შრომა გადაუმუშავებია და 23 დეკემბრის, 1818 წელს ნიჟეგოროდის თავად-სენატორთა დეპუტატების კრებისათვის წარუდგინა. ეს საბუთი თორნიკე ჭყონის უპოვია გორკის საოლქო არქივში 4).

ამ მასალებს თვალსაჩინო ნათელი შეაქვს ბაგრატიონთა დინასტიის შესწავლის საქმეში.

ჩვენი წერილი არ იტოვებს ნარკვევის ფულებას, რადგან ნაყოფიერი რკვევისათვის საჭირო და საკმაო მასალებზე ხელი არ მივიწვდებო. ჩვენ მიზანია, ხელმისაწვდომ მასალებზე დაყრდნობით, მკითხველს მივაწოდოთ ზოგიერთი ცნობები დასაძლეთ საქართველოს ბაგრატიონებზე. უნდა ითქვას, რომ დასაძლეთ საქართველოს ბაგრატიონების გენეალოგიური კავშირი ისე კარგად არ არის შესწავლილი - დაზუსტებული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბაგრატიონებისა.

წინამდებარე წერილში საკითხს კონკრეტულად ვაყენებთ: იყენებთ თუ არა დასაძლეთ საქართველოს მეფეები ბაგრატიონების შთავარი განშტოების მამრობითი სქესის წარმომადგენლები?!

II

ისტორიდან ვიცით, რომ გიორგი მესამე (1154 - 1184) ვათავდა ბაგრატიონების დინასტიის ძირითადი შტოს მამრობითი სქესის შთამომავლობა და საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა გიორგის ასული — თანარი (1184 - 1212).

4) იხ. „ლიტერატურული ძეგანი“, იქვე, გვ. 278 - 279.

ქართველი დიდებულები თამარისათვის შესაფერი საქმროს გამოცემას შეუდგენ. შემატყუანე მოგვითხრობს: აღმოსავლეთის სულთნებზე და ოვსთა ბატონიშვილებზე თამარის ტრფიალით რომ იწვოდენ და საქართველოს მალალ ტახტს შენატროდენ. მაგრამ ბედმა ჩრდილოეთს გაუღიმა, ქართველი დიდებულების რჩევით თამარს რუსეთის მეფის ანდრეი ბოგოლიუბოვის ვაჟი — გიორგი შეერთეს. ესტყობა არცინ სწუნდა ბაგრატიონების შემხმარი შტოების ბედზე და არცინ ცდილობდა ცოცხლად გადარჩენილი ყლორტის მონახვას.

გიორგი რუსის ბედი ცნობილია: იგი გაჰყარეს თამარს და გააძევეს საქართველოდან. თამარის მეორე ქმარი იყო ოსეთის ბატონიშვილი სოსლანი, რომელსაც ქართველებმა დავითი უწოდეს. სოსლან - დავითი ბაგრატიონების ის გადაჩენილი ყლორტი იყო, რომელიც ეხლახან ეხსენებოდა. რა კავშირი ჰქონდა სოსლან - დავითს ბაგრატიონების მთავარ შტოსთან? „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ საქართველოს მეფეს — გიორგი I-ს (1014 - 1072) „ოვსთ მეფის ქალითან“ ჰყავდა ძე — სახელად დემეტრე. სომეხთა მეფის ასულთან კი ტახტის მემკვიდრე — ბაგრატ IV (1027 - 1072). ბაგრატის ნახევარი ძმა, დემეტრე უფლისწული, რამოდენიმეჯერ შეეცადა საქართველოში გამეფებას, მაგრამ ამარა. იგი დარჩა საქართველოდან გახდენილი და მისმა შთამომავლებმა შესძლეს გამეფება მხოლოდ ოსეთში, ესე იგი მათს დედულუქთში. ასე დაფუძნდა ოსეთის ბაგრატიონების სახლი. სოსლან - დავითი ამ სახლს ეკუთვნოდა. თვით იგი საქართველოს მეფის კარზე იზრდებოდა და თამართან სიყრმითვე თან შეზრდილი იყო. თუ რა მიზეზით არ შეერთეს თამარს იგი პირველათვე — ამხე ისტორია ლდუმს. ახლო ნათესავებათ ისინი უკვე აღარ ითვლებოდენ, რადგან დაახლოვებით შვიდი თაობა აცილებდათ ერთმანეთისაგან. შესაძლებელია პოლიტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული ქართველ დიდებულთა ნაბიჯი, როდესაც თამარს რუსეთის მეფისწული დაუსუეს თანამისაყდრეთ. ისიც შეიძლება, რომ მაშინ ჯერჯერობად დაძლიერებულ საქართველოს, ეს ამბავი დიდი ამბიციებით და განდიდებისაკენ მიისწრაფებით დასართოდა.

სოსლან - დავითის ბაგრატიონობა ამჟამად საეჭვოდ აღარავის მიაჩნია, თუმცა წარსულში

დავას და გაურკვევლობას ამ საკითხის ირგვლივაც ჰქონდა ადგილი. სხვათაშორის, ვახტანგის ტახტულაც სოსლან - დავითს დემეტრე უფლისწულის შთამომავლად აჩვენებს⁵⁾, — გიორგი იალექსანდრესე გრუზინსკი, მის მხერა ნიყეგორიოდის სათავად - აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში წარდგენილ ბაგრატიონთა საგვარეულოს აღწერილობაში ერთგან სწერს: «Сей Царь Георгий (გიორგი მესამე, გ. კ.) по неимению сыновей назначил приемницей своей дочь свою фомарь (თამარ, გ. კ.)... Она... вышла в замужество за сына владельца Осетинского, Сослана Давида, дальнего родственника своего по отцу и матери из роду Багратионов⁶⁾ ეს ცნობა კიდევ ერთი ზედმეტი დამამტკიცებელი საბუთია სოსლან - დავითის ბაგრატიონობისა.

თამარის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი გიორგი IV, ლაშად წოდებული (1212 - 1222). ხოლო ამის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ბედმა არგუნა კვლავ ქალი ჰყოლოდა მეფეთ. სიკვდილის სასრეცელზე მყოფმა ლაშამ ტახტთავის დასა, რუსუდანს, დაულოცა და თანაც ცხოველი ფიცი ჩამოართვა — როდესაც დავითი, მისი მკირეწლოვანი ძე აღიზრდებოდა, ტახტი მისთვის, როგორც კანონიერი მემკვიდრისათვის გადაეცა. რუსუდანის მეფობის დროს (1222 - 1245) საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს: იგი მონღოლებმა დაიპყრეს, რის შედეგადაც საქართველოს ძლიერი სახელმწიფო კატასტროფიულად დაინგრა! რუსუდანმა ტახტი თბილისიდან ქუთაისში გადაინაცვალა. დაახლოვებით 1229 წელს მან ქმრად შეირთო არზრუმის სულთანის, ოტრულის, ძე, რომელთანაც შეეძინა ვაჟი—დავითი. ამგვარად საქართველოს გაუჩნდა ორი მემკვიდრე, ორი დავითი: ერთი—ლაშასძე და მეორე—რუსუდანისძე. განმეორდა ანალოგიური ამბავი: ისე, როგორც გიორგი მესამემ შიითვისა ტახტი და პირადი ეგოიზმით განმსჭვალულმა ტახტის კანონიერი მემკვიდრე დემნა ბატონიშვილი—მისი ძმისწული — მოჰკლა და ტახტი თავის ასულს გადასცა — ასევე რუსუდანმა მოინდომა თავისი ძის გამე-

5) იხ. თორნიკე ჰყონიას ზენოდ დასახელებული შრომა; დასატება პირველი: ვახტანგის შედგენილი „გენეალოგიური ხის“ სქემა.

6) იხ. იქვე, გვ. 283. ხაზი ჩვენია.

ფება და მცირეწლოვანი ძმისწულის თაყვიდან მითმოწრება. მან შეიპყრო დავით ლაშასძე, მისცა პატრიმრათ სულთან ყიასდინ ნურადინისძეს და 1234 წელს მისი მცირე წლოვანი ვაჟი ქუთაისში მეფედ აკურთხა და თავის თანამოსაყდრეთ განმოაცხადა. ამგვარად, მემკვიდრე **ბაგრატიონი** განდევნეს და საქართველოს ტახტი დედით ბაგრატიონმა, მამით სელჯუკმა — დავით რუსუდანისძემ მიიღო.

წესის თანახმად, დავით რუსუდანისძე მონღოლებს ყარაყორუმში დიდი ყაანის კარზე გაგზავნეს⁷⁾, რათა დიდ ყაენს იგი მეფედ დაემტკიცებინა. ეს იყო 1243 წელს. დავითს კარგა ხანს შეეგვიანდა ყარაყორუმში. მისი მოლოდინით დანადგლებული დაუძლურებული რუსუდანი 1245 წელს გაქრდაცვალა. უმეფოდ დაჩრეწილმა ქართველმა დიდებულებმა სულთან ყიასდინიდან გამოითხოვეს პატრიმრობაში მყოფი დავით ლაშასძე და დასვეს მეფედ თბილისში. ცოტა ხნის შემდეგ ისიც ყარაყორუმში გაგზავნეს, რათა ყაენს ერთ-ერთი დავითი სრულიად საქართველოს მეფედ დაემტკიცებინა. ორი მემკვიდრის არსებობამ საქართველოში განხეთქილებები გამოიწვია. დაიწყო დიდებულთა მოძრაობა და ბრძოლა სამეფო კანდიდატზე. ორივე მხარეს ჰყავდა მომხრეები, როგორც ქართველთა ისე საოკუბაციო ხელისუფალთა შორის. მონღოლებმა ორი მემკვიდრე — მეფის არსებობის ფაქტი გამოიყენეს თავისი ინტერესებისათვის — საქართველოს დანაწილებისა და დასუსტების მიზნით. 1247 წელს დიდმა გუფუკ ყაენმა ორივე დავითი დამტკიცა საქართველოს მეფედ და გამოგზავნა საქართველოში.

ბიძაშვილი-მამიდაშვილი დავით და დავით⁸⁾ ერთხანს შეთანხმებით და მშვიდობით მეფობდნენ, მაგრამ ქართველ დიდებულთა შორის თავი იჩინა ახალმა მძლავრმა განხეთქილებამ.

7) ყარაყორუმ — მონღოლეთის ქალაქი მდ. ორხანზე, რომელიც დასასრულებით 1230 - 1260 წლებში მონღოლთა ყაენების (ანუ ყაენების) რეზიდენციას წარმოადგენდა.

8) მონღოლებმა ერთმანეთისაგან გასარჩევად დავით ლაშასძეს უწოდეს „ულუ“ (= დიდი) და დავით რუსუდანისძეს „ნარინ“ (= მცირე). დავით ნარინი იწოდა დავით მე-V-დ (ახალი განჩივიტ მეექვსე) და დავით ულუ — დავით მე-VI-ს (ახალი განჩივიტ მეშვიდე).

ამის გამო დავით რუსუდანისძე დასავლეთ საქართველოში გარდაიხვეწა და იქ საბოლოოდ დამკვიდრდა.

ისტორიული წყაროების დაკვირებითი შესწავლა გვაჩვენებს, რომ ქართველი დიდებულების ერთ ნაწილს სურდა ერთმეფობა და ტახტის კანონიერ მემკვიდრეთ სთვლიდა გიორგი ლაშასძეს, როგორც ბაგრატიონს. მეორე მხარეს სურდა დასავლეთ საქართველოს ცალკე სამეფოდ გამოყოფა დავით ნარინის მეფობით, რომელიც წესისამებრ უკვე იყო მეფედ კურთხეული და რუსუდანის ძეობისათვის ქუთაისის ტახტს მის კუთვნილებად სთვლიდნენ. დავით ლაშასძის მომხრე დიდებულებს შეთაურობდა რაჭისა და თაკვერისა ერისთავთ-ერისთავი, კახაბერი კახაბერისძე. ხოლო დავით რუსუდანისძისას — დადიან-ბედიანი ცოტნე შერგილისძე. მაგრამ, რადგან ვერცერთმა მხარემ პრაქტიკულ შედეგს ვერ მიაღწია, ამიტომ 1261 - 62 წელს სამეფო ტერიტორია და სახელმწიფო ხაზინა ორად გაყვეს. აღმოსავლეთ საქართველო მისკუთვნეს დავით ლაშასძეს. დასავლეთი — დავით რუსუდანისძეს. ერთმანეთში შეერთებული გვაუწყებს, რომ ულუ დავითს, განძის გაყოფის დროს, მისცეს ი. წ. „საუფროსი“ „**ლაშას ძეობისათვის**“. ეს ცნობა საინტერესოა იმით, რომ მოწინააღმდეგე მხარეც დავით ულუს უპირველესობას, როგორც ბაგრატიონისას, სცნობდა!

საყურადღებოა ამ ორი მეფის მონეტების წარწერებიც. დავით ნარინის (1247 - 1293 სახელით 1247 წელს მოჭრილ სპილენძის მონეტას აქვს უბრალო წარწერა: „**დალითა ღვთისათა, მონა გუფუკ ყაენის⁹⁾ წყალობისა, დავით მეფე**“. მაშინ, როდესაც ულუ დავითის (1247 - 1269) მონეტაზე ამოჭრილია: „**მეფე მეფეთა დავით, ძე გიორგისი, მესიის მახვილი¹⁰⁾**“. წარწერის ამგვარი შინაარსი, დავით ულუს წინაპრების მიერ მოჭრილი მონეტების წარწერათა სრულ წაბად-

9) ყაენად ანუ ყაანად იგულისხმებოდა მონღოლთა საბრძანებულის უმაღლესი ხელისუფალი, დიდი ყაანი. ცალკე მხარის ან პროვინციის მმართველს ეწოდებოდა „ხანი“.

10) იხ. კრებული: „**მოთა რუსთველის ეპოქის მატერიალური კულტურა**“ პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, 1938 წ. ამ კრებულში იხ. ნაკრვევი თამარ ლომოთურის: ფული მოთა რუსთველის ეპოქაში“. გვ. 292.

ესას წარმოადგენს. მისგალითად, დიმიტრი პირ-
ველის მონეტაზე ამოჭრილია: „დიმიტრი, მეფე-
თა მეფე. მესიის მახვილი“. გიორგი მესამის:
„მეფე მეფეთა გიორგი, ძე დიმიტრისი, მესიის
მახვილი“. თამარის: — „დედოფალი დედოფა-
ლთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თა-
მარ, ასული გიორგისა, მესიის თავყანისმცემე-
ლი“. გიორგი ლაშასი: — მეფე მეფეთა, შვენ-
ება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, გიორგი, ძე
თამარისა, მესიის მახვილი“¹¹). დავით ულუს
სხვა ტიპის მონეტებზე კიდევ უფრო საყურად-
ღებო წარწერას ამოჭრილი: **დავით მეფე, ძე
გიორგისი, ბაგრატიონი**“. თამარ ლომოური ამ
მონეტაზე იხილავს ფიქრობს: „დავით ულუს ვე-
რცხლის მონეტა არავითარ ეჭვს არ იწვევს მო-
მჭრელის ვინაობის შესახებ. აქ გარკვეულად
აღნიშნულია არა მარტო სახელი, არამედ მამის
სახელიც და გვარიც მომჭრელისა. ამ უკანასკ-
ნელი მომენტით მომჭრელი თითქოს ხაზს უს-
ვამს იმას, რომ იგია¹² ბაგრატიონი, რაც იმ
დროს არსებულ პოლიტიკურ - დინასტიურ პი-
რობებში მნიშვნელობის მქონე გარემოება უნ-
და ყოფილიყო“¹³). ქუთაისის სამხარეთმცოდ-
ნეო მუზეუმში ინახება სხვა მონეტა, რომელზე-
დაც გამოხატულია ორივე თანამოსაყდრე და-
ვითი, რომელთაგან ერთს აწერია „დავით მე-
ფე“ და მეორეს „მეფეთა მეფე დავით“-ი. პირ-
ველი ფულისხმობს დავით ნარინს, ხოლო მეო-
რე დავით ულუს¹⁴).

როგორც ჩანს გვარეულობის დაცვას, მამრო-
ბითი სქესის შთამომავლობის სახით, მინც მნი-
შვნელობა ეძლეოდა მაშინ. შესაძლებელია ვი-
ფიქროთ, რომ ქართველ დიდებულებებს მოძ-
რაობას, ამივე გარემოებით გამოწვეულს თამა-
რის საქმროს ძიების დროსაც ექნებოდა ადგი-
ლი. ცინ იციან, ეგებ პირველად იმ მიმართულე-
ბამ გაიმარჯვა, რომელსაც დიდი ამბიციები
ჰქონდა და განდიდების წყურვილით შეპყრო-

ბილებმა თამარს გიორგი რუსი მოჰგვარეს. მა-
გრამ, მერე გამარჯვება იმ მიმართულების მო-
მხრეებს ხვდა, რომელთაც შემკვიდრიე ბაგრატი-
ონი სურდა საქართველოს ტახტის მოსაყდრედ
და სოსლან - დავითი შერთეს ბრწყინვალე თა-
მარს. ეს არის ჩვენი აზრი, ისტორიული წყარო-
ები კი ამაზე პირდაპირ ცნობებს არ გვაწვდის.
— ორი დავითის დროს არსებულ პოლიტიკურ-
დინასტიურ მოძრაობას მართლაც, როგორც
დავინახეთ, მნიშვნელობა ჰქონდა და, როგორც
ქვემოთაც ვნახავთ, ეს ფაქტობა არც შემდგომ
თაობებში გამქრალა.

ამგვარად, 1262 წელს მოხდა საქართველოს
საბოლოო გაყოფა ორ სამეფოდ. აღმოსავლეთ
საქართველოში გაგრძელდა ბაგრატიონების სა-
გვარეულო დინასტიის არსებობა. ხოლო დასავ-
ლეთ საქართველოში კი ნახევარი - ბაგრატიონე-
ბის დინასტია გაფუჟდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ბ ა ს კ უ რ ი დ ა ქ ა რ თ უ ლ ი

ყველამ იცის, რომ პირენეის მთებში (ნაწ. ის-
პანიაში და ნაწ. საფრანგეთში, ცენტრში: ბილბო
და ბაიონნი) მოკალატებულა ალტრაცხველი
დროიდან ერთი **ერი**, იმავე დროს **რასხა**, ორიგინ-
ალური — სრულიად თავისებური, — **sui
generis**, — სახელწოდებით „ვასკი“ ანუ „ბა-
სკი“, მათს ენაზე „**Euskéra**“, სულ ერთ მილი-
ონამდე მოსახრებნი (800 ათასი ევროპაში და
200 ათასი ორ ამერიკაში).

ბასკური ენის შესწავლა ფრიად სუსტია იტა-
ლიაში, როგორც ყოველგვარი სალინგვისტო -
სამეცნიერო ძებნა დღეს. აკად. ა. ტრომბეტის
შემდეგ მხოლოდ ერთმა ავტორმა, ენათა შესწა-
ვლის მოყვარულმა, — ს. პორტალმა უძღვნა
შრომა საკითხს თავის წიგნში: „**La lingua
basca**“, მილანო, გამომცემ. Hoepli, 1926. ლი-
ტერატურა კი ამის გარშემო უფრო ვრცელია
გერმანია-საფრანგეთისაპანიაში. გ. ჰუმბოლტი
(გერმ.), ანტ. მეფე (Meillet, საფრ.) და ს. რუი-
ბალი (ისპან.) ყურადღებით იხსენიებენ მის ნა-
თესაობას სხვა ენებთან, ხოლო პ. შუპარტი
(გენა), ალფრ. ტრომბეტტი (Bologna) და ნიკო
მარრი უკავშირებენ მას კავკასიურ ენებს და
უმთავრესად ქართულ ენათა ჯგუფს, მეგრულ-

11) იხ. თამარ ლომოურის ნარკვევი.
12) ხაზი თამარ ლომოურისაა.
13) იქვე. გვ. 293.
14) იხ. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს
სახ. მუზეუმის მთაბე, ტ. XVI-B, 1950 წ. თბი-
ლისი. აქ მოთავსებულია ნარკვევი: თ. აბრამი-
შვილი — „ორი დავითის მონეტა“. გვ. 139-140.
ავტორი ფიქრობს რომ ეს მონეტა ამოჭრილია
1261 - 62 წ.წ.



სვანურ - ჭანურს, ნაწილობრივ აბხაზურს. — ასეთი საკითხის გადაჭრას სჭირია ღრმა ცოდნა. **ბასკურისა**, რაც აკლია ყველას, ეს უკანასკნელი იმდენად რთულია გრამატიკა = ეტიმოლოგიაში, ფონეტიურად, რომ არა ერთი მეცნიერს დაუკარგავს დრო, ენერჯა და შემდეგ მიუტოვებია მისი შესწავლა. ამ ენაში არ არის იშვიათი 20 და 30 მარცვლოვანი სიტყვა, რომელსაც უკავია მთელი სტრიქონი და გამოსთქვამს მხოლოდ ერთად - ერთ არსებამ ან თვისებამ. ასეთი ენის ბუნების თუ ბუნებათა გამოწვევლად (ანალიზს) მხოქნდება საუკუნეები, თუ უფრო ადამიანურმა, ასატანმა პოლიტიკურ - სოციალურმა პირობებმა ხელი არ შეუწყვეს ჩვენი ენების მკვლევართ ახლო ნომინალში.

ბასკური ორგინალურა 90%, ისევე როგორც ქართული. ერთსაც და მეორესაც აქვს ზოგი რამ გადმოღებული ლათინურიდან და ამავდროს არა - ივროპიულ ენებიდან. პირველი არის ენა ანალიტიური, ე. ი. ვერ ცვათ ეკონომიას აზრის გამოთქმაში და ეძებს თანდებულებს და აუთარებულ ზმნებს სიაშკარავისათვის. ქართული კი სინთეტიურია, რომელიც ლათინური, როგორც ძველი ბერძული და მცირე ტერმინების შემწეობით, — პრეფიქსების სიმდიდრისა გამო ზმნებში, — აშკარად ჰყოფს ნაზარებს.

ბასკების ენაზე „გოგო“ ნიშნავს სატრფიალო სადანს, იშვიათ რასმეს და არის გასყენებითი არსებითი სახელი; ბასკურ - ისპან. *ir* („ირ“) უდრის ფრ. „aller“ -ს და აღმნიშვნელია მოქმედების: შეად. ფრანგ. „j'irai“, ქართ. სირბილს და მეგ. - ჭანურ *ირული*ს („გაიქეც!“); ბასკ. „ამურ“ უდრის მეგრ. = ლაზ. „მზური“ -ს და ნიშნავს ცხვარს; ისპ. - ბასკ. *palo* ნიშნავს იმასვე, რასაც ქართულ - სვან. = მეგრ. პალო (იტალ. *palo*, ფრანგ. *pilier*); *el buho* (ბასკ. - ისპან.) უდრის ქართ. - მეგ. - ლაზ. „ბუ“ -ს, შეადარეთ ფრანგ. *hibou*, იტალ. *gufo*, ძვ. - დიალექტ. *bufo*-თან წარმოშობილი. ისპ. - ბასკური - იტალ. *coda*, ან *cola* უდრის კუდს (მეგრ. *კუდ-ელი*) და სხ..

ასეთი მაგალითების გაგრძელება არ არის შეუძლებელი, მაგრამ არ არის იმავე დროს საკმარისი ენათა ნათესაობა - წარმოშობის დამტკიცებისათვის. შედარებითი მეთოდი გაბატონდა მეცნიერების ყველა დარგში (ლინგვისტიკა, ლიტერატურა, ისტორია, მედიცინა, ეტნოგრაფიაში), შედარებებს არ აქვთ საზღვარი ჩვენს დარგში და აქ კი საჭიროა ღრმა დაკვირვება, განუწყვეტელი კავშირი ცოცხალ ენასთან,

გლოტოლოგიური ანალიზის გვერდით ანალიზი ეთნოლოგიური (მოდემის, წარმოშობის საკითხი) პრობლემისა.

— ბასკების ეთნოლოგიას შეეხო სხვათა შორის ფრ. ექიმი და ანთროპოლოგი **Paul Broca** (1862); ბასკებისა და შორეულ აღმოსავლეთის მონგოლთა თავის ქალას ანალიზის შემდეგ (**craniologia**, იტალ.) დაასკვნა, რომ ეს ორი მობირდაპირე და ეგრე განშორებული ერები იყვნენ თითქოს ინავე მოდემისა, ანუ რასისა, მაგრამ ასეთ აზრს არასდროს მისცემია დასაბუთება სხვა მეცნიერთა მხრით. არა ერთი შემდეგი მკვლევარი შეეცადა ბასკებს წარმოედგინა როგორც გადმოსულნი (ემიგრანტები) კავკასიიდან ისტორიის დასაწყისში და კიდევ როგორც გადარჩენილი, ლტოლვილი (ფრ. *survivants*, იტალ. *sopravissuti*) მე-ნ კონტინენტიდან — ატლანტიდისა, რომელიც დაიღუპა წყლის ქვეშ, — ევროპა - აფრიკა და ცენტრ. ამერიკის შუა, — 12.000 წლის წინად წარღვნამდე, დიდი პლატონის აზრით თუ მოაზრებით და არა საბუთით (იხ. „Timeo“ მის დიალოგებში). ასეთი მეექვსე კონტინენტის არსებობის საკითხი ფრიად რთულია და არსებობს მთელი ლიტერატურა მის გამოშენი. საფრანგეთში მყოფთა საყურადღებოდ ასეთთა წყაროები პრობლემისა:

ა) **R. Dévigne** — «L'Atlantide — sixième partie du monde». — Editions de la revue «Atlantis», Paris et Vincennes, fondateur Paul Le Cour, 1936;

ბ) **Abbé Moreux** — «L'Atlantide a-t-elle existé?»

გ) **A. Rivaud** და **P. Le Cour** — «Récits sur l'Atlantide» et «Les traditions atlantiques». Ibit., და სხ.

ტრადიციითა მიხედვით, — ეთნოგრაფიული მეთოდით, — ორი ქრის შესწავლა ფრიად ააშკარავებს აგრეთვე საკითხს, მაგრამ აქაც ნაკლებობენ წყაროები. გენახავს პირადად ბასკები, გენახავს მათი ჩამულობა, დაკვირვებით მათ ფოლკლორს, ცეკვას და ვარჯიშს, მოგვისმენია მათი ფალობა და სიმღერა (საფრანგეთი და იტალიაში) ისეთ წრეში, სადაც მხოლოდ ბასკურ ენასა ჰქონდა გავრეობა და გავება. ბევრი რამეში წაგავს მართლაც „ეუსკერა“, — როგორც ეთნოლოგი ტიპი, — კავკასიის იქვე იქვე, — გასრეგნობით, სწრაფი მისვრა = მოხვრით, მარდ და მოხდენილ ცეკვაში, ხმოვან შემოძახილში, თავაზიანობაში, — მაგრამ, აქაც, ყოველგვარი

დანასკვი ჩვენთან ნათესაობის მხრივ, — როგორც სურდა ეს აკად. ნ. მარრს, — მცირე და აჩქარებული შესწავლის შედეგად, — სრულიად შეუძლებელია ჯერ - ჯერობით.

ქართული ენა, — ანუ კარდუს მეტყველობა, როგორც იტყოდა ბ. გრ. რობაქიძე, — მდიდა = რისა თავისი 28 თანხმავანით. ისევე სწორედ სოფორც არაბული (ლათინურმა იტოდა მხოლოდ 18, იტალიურმა შეინარჩუნა მხოლოდ 16 და ფრანგულმა მიასწია 20-ს).

პირადად განცდილი და გაგონილი უფრო დიდი საბუთია ყოველთვის, ვცდრე სადმე და ოდესაც ამონაკითხი: ჩვენი აზრით, ქართულ ენას, — აგრეთვე ბასკურს — აქვს რაღაც საერთო შორეულ - აღმოსავლეთის ენებთან (ასეთი ენები სრულიად შეუსწავლელნი არიან ლინგვისტთა მიერ): მონგოლური, ნიპონური, მანჩუკო და მრავალი სხვა უაჩყოფენ მდებდრობით სქესს როგორც ქართული, მეგრული და სხვა ენები ივერული ოჯახისა; ისინი უაჩყოფენ მრავლობით რიცხვს, თუ რიცხვოვანი წინუძღვის არსებითს; მათი ფონეტიკა მარტივია, სიტყვა გამოით. ისევე, როგორც იწერება; ზუთი ხმოვანი, — საძირკველი ამავე დროს ლათინურ და სხვა აუარებელ ენათა (2000 სულ) — შედიან საცესებით მათში და იშვიათია დიფტონგები და ტრიფტონგები. — ჩინურ ენაში „სი“ ნიშნავს ადგილს, დაბას; ჩვენი დედა - ქალაქის სახელწოდებაში პირველი ნაწილი ამ შედგენილი ტერმინისა აშკარაა: **თბილი**, ტფილი (შეადარეთ „ტიბუ“ მეგრ.), მისი მეორე ნაწილი კი აშკარადება ზატაურთან დაპირებას მეთხებით და გზით: თბილი - სი: „თბილი ადგილი“; ნიპონური „მიდორი“ ან „მიდორა“ უდრის ქართ. = მეგრ. - ჭანურ მიდორს, მინდორს და ამავე დროს ანგლო - საქსონური „soul“ ან „awful“ აწვევენ ქართულთან შედარებას. პირველი ნიშნავს სულს და მეორე სინონიმია ყოველგვარ სივრცე - ბოროტებისა. ქართული „მე“ შედის არიელთა ენებში, სასკრიტიულის და ლათინურს. შუამავლობით (მაგ. **je me trouve**, ფრ.; **date a me**, იტალ.; **shelter me**: დამიცავით მე, ინგლ.; ინდოეთის არა - ერთ ენაში **me** უდრის იმასვე); „ხათრი“ და „კობტა“, ამოკითხული (ჩეხ ელით ორიენტალისტიკის ბ. პრიონის მიერ და ცნობილი პარიზის „**Soc. Asiatique**“-ის წინამე 1932 წელს), ხ ე თ უ რ ი წარწერებითიან (**Inscriptions hittites**) ნიშნავენ იმასვე, რასაც ქართ. = მეგრულში (პირველი უდრის ფრანგ. „**complaisance**“-ს და მეორე

„**élégant**“-ს). ამნაირად აშკარაა ქართული ენის მრავალ - ფეროვნება, რაც არი ნიშნავს მის მოზაკობას, როგორც ალბანურისა ან ბალტიის ენათა, ღარიბთა საკუთარ ელექსენტთა შემადგენლობით.

პროფ. შ. ბერიძე.

ფროსოლონ (იტალია)
ავგოსტო. 1948.

ს ა დ ა რ ი ს ბ უ ლ ი !

(გრიგოლ რობაქიძე იტალიაში, ბიბლიოგრაფია და მოგონება).

1934 წ. მილანო... გერმანელი გამომცემელი კუფერი ბექდავს იტალიურ ევრსიას გრიგოლ რობაქიძის შრომისა **«Megi, Ein Georgisches Mädchen»** იტალიური სათაურით: **«Le Treccie di Medea»** (მედეას ნაწნავები).

ბ. გრიგოლი ამ დღითგან არ არის უცნობი იტალიელი მწერალთა წრეში.

ამ წიგნს წინ უძღვის ავტორის ავტობიოგრაფია. — ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია ბავშვობის ხანა, — ვიყავი არ - მოუბარი და ფაურბოლი შეხვედრებსო, ამბობს ავტორი. 6 წლისა იყო რილესაც იხილა პირველად ქუთაისი, სწავლა მიიღო ლაიპციგში და აგრეთვე იურივეის უნივერსიტეტში.

პირველი თავი წიგნისა ეხება „კოლხიდას“ და მდიდარია ცნობებით, დაკავშირებულით უნივერსალურ შითოლოგიასთან. — კოლხიდა, ოდიში, სამეგრელო! რამდენ ქართველს შეიძლება სულ არ ახსოვდეს ეს სახელები. 31 წელიწადი საქსონიველისა გარეშე. 5 - ოდეს წლის წინად იერთი ზრგდიდელი მეგრელი მკითხებოდა რომში, თუ სად არის **მარტვილი?** — **O tempora o mores!**

„ტყის მოთხრობა“ (გვ. 65 - 69) ეხება მენიკი, ციცილი და მეგის ბაასს, პირველი ტიპია ქ. განათლებული ქალის: პრომეთე (= „ამირანი“), მედეა (= „მედია“), იაზონ (= „იასონი“) — იპრობენ მის ყურადღებას და იწვევენ აღმადრენას.

შემდეგ იხსენიებს **ლამბერტის** (არქანჯელო, ნეაპოლელი, მისიონერი სამეგრელოში, მე - 17 საუკ., ავტორი წიგნისა „კოლხიდე საქსონი“ გამოც. კავალი, ნეაპოლი).

ცხენოსანი აბზაზი ასტამურის ტიპი ფამოქან-

დაკეზული დიდი მანქანის მიერ. რომელსაც გნებავთ ლიტერატურას, — უნივერსალურს, — მუდმივს, წაუწმელს დასმზენებს ასეთი გმირი, განზრახული დიდ გულით და მარჯვე კამათით. —

სიყვარულით თრობილი გმირი არ შეჩერდება, როგორც გმირი რომან არავითარი ხიფათის წინაშე.

ქალღეა, ეგვიპტე, ოსმალეთი (გვ. 123 - 134), მეგის სიყვარული აბხაზისადმი, ბაბილონია (გვ. 145), ინდოეთი, სპარსეთი, ცხად - ყოფილი არიან ადამიანის გულისა და სულის ღრმა ცოდნით!

ღამე! სიჩუმით მოცული სიბნელე სჩანდა სინათლედ და იწვედა ფიქრებს... 18 წლის მეგი მეტოქეა მთვარის და უფროსობს ძილს არა-ერთ ვაჟ - კაცს თავისი ქმნით, კონტაობით, როგორც იშვიათი პირველი ხილი.

მეგრეთა მასპინძლობა და სტუმართ - მოყვარება აღწერილია დიდი ცოდნით.

1855 წ. — ომერ - ფაშა და მისი 30.000 ცხენოსანი ჯარდებიან მდინ. ენგურის პირას, რომ აიცილონ რუსების შემოსევა ქ. ყარსში. უკვე 52 წელიწადია რაც სამეგრელო უპყრია რუსის მძევს. ოსმალთა ჯარი გადადის ენგურსა და მიაღწევს ზუგდიდს (გვ. 229).

მეგრეთა დედოფალი იყარბის ტყვეობას ლეჩხუმში. კოლხიდა აწიოკებულია, გმირი-ქალი, ქვრივი ციციხო თვალ-ყურადღებით მისდევს მომხდარი ამბებს, მსაგრამ სრულიად უიმედოდ და ნაღველით გულში. თათარი სტოვებს საქართველოს. იწყება მდევა - მეგის ტრადედია,

რაც გვაგონებს ა. ლამარტინის გრაზიელას, ნეპოლში განზრახულს და პარიზში დამთავრებულს. (1832 - 34).

ბ-ნი გრიგოლის აფორიზმები, ვაბნეულნი საქმიქ, არიან შემდეგნი, შემოკლებით:

ა) შურისნობა არ არის ბრმა, პირიქით საქვს გაწრთვნილი თვალები და წინ-დახედულება (გვ. 246);

ბ) სარწმუნოება, რელიგია არ ეძებს მსაღიბებს, ფაქტებს, რათგანაც სჯერა შესაძლებლობა სასწაულთა, არა - ჩვეულებრივ მოვლენათა (აქეთგან წინააღმდეგობა ნეცნიერებისა ეკლესიასთან!);

გ) ბედი არასდროს არის კმაყოფილი, მისი ფრთები გაშლილია სივრცეში;

გ) ცხოვრება ერთი წუთია, სოფლის ტრიალი მუდმივი, და სხ..

სად არის გული? — აი ავტორის პასუხი. მეტი საცხები იყო გული, მას ესმოდა მხოლოდ ყრძნობის ენა, აღსაესე აღფრთოვანებით. —

1912 წ. — ბათუმი და თბილისი. ბ. გრიგოლი ბრუნდება საქართველოში ორი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. ამ სტრიქონების ავტორი მას გაეცნობა იჯაზში, ლექციების შემდეგ („ო. უაილდი“, „ნიცმე“, „იბსენი“ და სხ.).

დღეს ევროპაში გადასახლებული, ბ. გრიგოლი განაგრძობს მუშაობას ენგეაში და არ შეიძლება არ ვუსურვოთ ყველამ ხანგრძლივი ჯანმრთელობა საქართველოს საბედნიეროდ.

შ. ბერიძე

იტალია

წიგნები საქართველოზე ბრუნების ძველ ბაზარზე

ერთი ჩემი მეგობარი ბელგიელი არქივისათვის მუშაობს და დადის ბრუსელის ძველ ბაზარზე სხვადასხვა მასალის საძებნელად. როდესაც რამეს წააწყდება საქართველოზე, მეც არ მიიწყებს და მიგზავნის. ამდგავარად შემეგროვა ათობდე წიგნი და მრავალი ამონაჭრები სხვადასხვა ძველ ჟურნალ - გაზეთებიდან.

ამ წერილის სათაური: „წიგნები საქართველოზე“, უმთავრესად ეხება დაწერილს ჩვენი ქვეყნის შესახებ ფრანგული ენაზე.

ძველი ჟურნალების ამონაჭრები ხანდახან უსახელოდ არის ამოღებული და ძნელი გასაგება საიდან მოდის ის, ხშირად თარიღიც არა

აქვს, თუ შინაარსიდან არ მიხვდები რა ხანას ეკუთვნის იგი.

შე მაინც მისი დიდი მადლობელი ვარ ამ მასალებისათვის.

ეს შრომები ძალიან ძველი არ არიან და უკანასკნელ ასს წელიწადს არ სცილდებიან.

შინაარსის მხრივ, თავისი ხასიათით და წერილის კილოთი შეგროვილი ლიტერატურა, შეიძლება ითქვას, განყოფება ორი ჯგუფად: პირველი, დაწერილი პირველ მსოფლიო ომამდე და მეორე, ჩვენი დამოუკიდებლობის შემდეგ.

მიუხედავად დაშქრის მიდგომისა და შეხედულებისა, ეს ორი ხანა ჩვენი ეროვნული ცხო-

ვრებისა ნათლად განოსტვივის უმეტეს ამ წიგნებში და წერილებში.

ჩვენი დამოუკიდებლობის შემდეგ დროის გამოცემანი, შედარებით უფრო ნაცნობია უცხოეთში მყოფ ქართველებისათვის. ესენი არიან: — «La Géorgie Libre». Emmanuel Kuhne (1920). «Au pays de la toison d'or». Odette Keun (1923), — «Moscou et la Géorgie Martyre». Raymond, Duguet (1927). — «Littérature Géorgienne Chrétienne»; J. Karst (1934). — «La civilisation caucasienne», A. Byhan (1936).

ძველი წერილები და ნაშრომები უფრო დავიწყებულია, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის ისინი არ არიან მნიშვნელობას მოკლებულნი. ისინი დაწერილია უმთავრესად მოგზაურების მიერ და რიგგარეშ ასეთები, ატარებენ თავის ნაკლს და ღირსებას. ნაკლი მათი ის არის, რომ ცოტა ხნით მოსულმა მეთვალყურე არ იცის ზოგიერთი მოვლენის მიხედვები და სიღრმე და მიუხედავად ამისა, გამოსატყვამს გაბედულ აზრს. მეთრე მხრივ: საინტერესოა ამდგარი მოგზაურის დაუმუშავებელი შესხედულება, რომელიც პირველი შთაბეჭდილების ქვეშ იძლევა ცოცხალ წარმოდგენას.

ამ მხრივ საინტერესოა «Le Caucase Glacé», F.-C. Grove ნათარქმნი ინგლისურიდან Jules Leclercq -ისა (1881).

გროვე - მა 1874 წელს იმოგზაურა ჩვენში სამი მეგობრის თანხლებით და მოახერხა კავკასიონის ქედის ზოგიერთი მწვერვალზე ასვლა. იგი ამ მიზნით იყო ჩამოსული ჩვენში. მისი წიგნი მრავალ მხრივ არის მიმზიდველი, რადგან ცოცხლად აღწერს გზა და გზა ნახულს. იგი იგონებს თავის თანამემამულესაც, რომლებმაც მასზე აღრე იმოგზაურეს ჩვენში და შეეცადენ კავკასიონის ქედზე ასვლას. გროვე იხსენიებს იხსენიებს მე-14-ე საუკუნის ცნობილ მწერალს Sir John Maundeville, რომელმაც იმოგზაურა აფხაზეთში და წიგნიც დასწერა ამის შესახებ. მანდელილი თავის წიგნში გამოსატყვამს ერთ ადგილას ასეთ მხიარულ აზრს, რომ: «Les Caucasiens sont de bons menteurs, des menteurs parfois admirablement habiles, et nous laissent sous ce rapport bien loin derrière eux, nous autres pauvres Occidentaux».

ცნობილია რომ ეს მწერალი უცნაური ამბების მოხრობელი იყო...

თვით გროვე მრავალ ღირსებებს ხედავს, როგორც ქართველებში, ისე სხვა მთის ხალხებში.

თუმცა აწუხებს მას მათი მომადებურებელი ცნობის მოყვარეობა, მაგრამ მაინც აქებს მათი პატიოსნებას, ზრდილობას, ერთგულებას, გამძლეობას და სხ... „მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველაფერი აინტერესებს ჩვენი, იარაღები და საგნები, თავშიდაც არ მოუყვით ის აზრი, რომ რაღე გვთხოვონ ან მოგვპარონ“. აკვირებს მათი მსჭერმეტყველება, ნიჭი და დარბაისლობა.

საინტერესოა კიდევ: «Au seuil de l'Europe. Finlande et Caucase», Pierre Morane (1900), ამ მწერალმა სამჯერ იმოგზაურა რუსეთში და აქეს ვრცელი ცნობები და განხილვა იქაურთა ცხოვრებისა. იყო საქართველოშიც.

აი რას ამბობს იგი შესავალში:

...«La Finlande et le Caucase.. je ne suis pas éloigné de croire qu'elles offrent plus d'intérêt, que l'intérieur de l'empire. Si elles ont pour moi tant d'attrait, c'est que la nature y est pittoresque et belle, c'est surtout qu'on y découvre le travail mystérieux de petits peuples, qui cachent leur vie à nos regards. Sous l'aigle moscovite, ces peuples gardent leur physionomie à part, et c'est un spectacle curieux que de les voir défendre leurs traditions contre le maître russe».

ბევრი საინტერესო ცნობას და დაკვირვებას იძლევა ეს მწერალი არა მარტო ქართველებზე, არამედ სხვადასხვა ერების ჯგუფებზე საქართველოში. სხვათა შორის ამბობს, რომ თფილისში 34.000 ქართველი დარჩა. მას უეჭველად ეტყობა ჩვენდამი პატივისცემითი იანწყობილება. მწუხარებით უყურებს ჩვენ მდგომარეობას.

პატარა წერილებში და მოთხრობებში საინტერესოა, Henri Cantel-ის 2 მოთხრობა: «Le Prince Domenti და «Héraklé». (Revue des Deux Mondes 1862) ამ მოთხრობაში უბრალოდ მაგრამ ლამაზად არის გადმოცემული იქაური ცხოვრების ზოგიერთი მხარეები, ზნე - ჩვეულება და საერთო სულიერი და ნივთიერი სიმართლე.

აგრეთვე მრავალი პატარა - პატარა წერილებია სხვა და სხვა სალიტერატურო ჟურნალებში, სურათებით და აღწერით. თქმება: თბილისი, ჩვენი ჩაცმულობა და ზნე - ჩვეულება, ეკლესიები, ბუნება, სხვადასხვა მოღვმა და ტიპები ადამიანთა და სხე...

გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ყველგან ქართველობას ეტყობა ღრმა ეროვნული შეგნება ამ მოგზაურთა გადმოცემით, ენაში მაინც სჩანს ერთდგარი შე-

ლახსულობა, რუსული სიტყვების ადვილათ ჩართვა ქართველი მოსახურის მიერ. მაგალითად, ისეთი ჩვეულებრივი სახელებიც ჩვენი ტანისამოსისა, როგორიც არის ნაბადი, ჩოხა, ან იარაღებში: სატევარი, როდესაც უცხოელი ეკითხება ქართველს მათ სახელს, ქართველი უბასუხებს რუსული შესატყვისით (შეიძლება ფიქრობდეს მოპასუხე, რომ უცხო უცხოს უფრო გაიგებს!).

უნდა ითქვას საერთოდ, რომ მიუხედავად იმისა, საქართველო ზღვიდან ადვილი მისასვლელი იყო და ბუნებითა და წარსულით საინტერესო ქვეყანაა, მის შესახებ მაინც ცოტა იწერებოდა. მოწყვეტილი რუსეთის იამო თავისუფალ და პირდაპირ კავშირს დასავლეთთან, მას ისეთ ყურადღებას ეძლეოდა აქცევენ ევროპაში. თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო-ორი-ორს მეცნიერს, როგორიც იყო მაგალითად მამა პ. პეტერსი, რომელმაც საქართველოს და მის ეკლესიის კითხვის შესწავლას შესწირა ოცდაათამდე შრომა, ასეთი ინტერესი და გამოკვლევანი ცოტა იყო. დამახასიათებლად მიგვაჩნია აკადემიკოსი ნ. მარჩის წარწერა პ. პეტერსისათვის გამოგზავნილი წიგნზე: „უძღვენი დასავლეთ ევროპაში ერთადერთ ჩემ მკითხველს“-ო.

დღესაც არ არსებობს დიდ ევროპულ ენებზე ხელმისაწვდომი, საფუძვლის დამდები წიგნები, რომლის საშუალებითაც შეიძლება გარკვევა და შესწავლა ჩვენი კულტურისა. ის არსებობს სიტყვარი, გრამმატიკა და სხვა ამდაგვარი გამოცემანი.

უცხოა მ. პეტერსიც ფიქრობდა ამაზე, როდესაც სწერდა იგი თავის წერილს შანიძის შესახებ. «Chanidzé, Grammaire Géorgienne (1930)», რომელშიც გამოთქმულია სურვილი მისი ფრანგულად გადამეწვეს და ევროპელებისათვის გასაგებ გამოცემის შესახებ. აგრეთვე იგი ხედავდა ახალი სიტყვარის საჭიროების აუცი-

ლებლობას. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ბრუსელის სამეფო სამკითხველოში, ჩუბინაშვილის წიგნთან დამატებით, გვენახა ლამაზი ქართული ხელით დაწერილი მრავალგვერდიანი ქართულ-ფრანგული სიტყვარი. (ფიქრობთ იგივე მ. პეტერსის შედგენილი). ის იყო პირვენება, რომელიც ყველაზე ღრმად შევიდა ქართულის შესწავლაში და შეედლო ამის ვაკეთება. არ დასცალდა! როგორც ცნობილი გერმანიის მწერალი გოეთე ამბობს: „გრძელია ხელოვნება და მოკლე სიტყვები“.

ქართული ენა და კულტურა კიდევ სხვა გარდა არის მნიშვნელოვანი. მაგ. R. Flesch Ph. D.

თვის საინტერესო ინგლისურ წიგნში „ლაპარაკის ხელოვნებაზე“ (1946), უჩვენებს ინგლისურად მოსაუბრეთ, მიბაძონ ძველი განსათლების ხალხებს და გადაიღონ მათგან საუკუნობის განმავლობაში ნახული და გაუმჯობესებული წესები. (საკითხი ეხება ჩინელების გრამატიკას და მათი ლაპარაკის მარტივ ფორმებს, თორემ ლმერთმა დავვიფაროს რთული ჩინური დამწერლობისაგან, ამ სახით ინგლისელები და ფრანგები, უკვე სწერენ...).

ქართული ენის ხერხი, მარტო ის არაა ღირს, გაგანილს რომ უბრალოდ ისე აღნიშნავს, როგორც ის ვესმის. დიდი ევროპიული ენები არაფერს დაკარგავენ, რომ მიელოთ ამდაგვარი მარტივი და ნათელი წერის წესი, ისე როგორც მათ მიაგნეს და მიიღეს რომაული ციფრების შეცვლა — ნიშნებით, რომელსაც დღეს არაბულს უწოდებენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ციფრების გარეშე დღევანდელი მეცნიერების წინსვლა და განვითარება ძნელი წარმოსადგენია.

იგივე დიდი მომავალი აქვს ენას, რომელიც მოახერხებს და ნათელ და მარტივ სახმარებელ ფორმებს გამოახავს, იქნება ის ლაპარაკის, თუ წერის.

ირ. ო - რი

62 ქართველის გადასახლების 30 წლის თავი

9 ოქტომბერი, 1922 წელი. საღამო უამი იყო. ციხეში ხმა გაერკვედა: გადასახლებულად განწესებულ 62 ქართველს ღამით გაიყვანებენ მეტეხითანო. ცნობა თვით ჩეკითგან მიეღოთ. დიდი ხანია, რაც ხელოსუფლებას შერჩეული ჰყავდა 62 კაცი. გადასახლების დღეც დანიშნული იყო. 10 ოქტომბერს უნდა გამოგვთხოვენ ბოლშევიკები უკანასკნელად, საგანგებოდ ჩამოსულნი

ჩვენი მოზღვრები, ძმები, დები, და ნათესავები. ერთი დღით ადრე ჩვენი აყრა აღბათ დაცემის შიშით იყო გამოწვეული. ცნობის მოსვლისთანავე შეიკრიბა ჩვენი მთავარი შტაბი, რომელმაც გადაწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა. იმ დროს მეტეხში დატუსაღებულ ქართველთა რიცხვი 2.500 აღემატებოდა. ხილისაგან გამყარე ნაწილში ციხისა მხვერავები დავაყენეთ; მათ

უნდა შეეტყობინებიათ ჩვენთვის რუსული რაზმის მოახლოება. „მოდიან, მოდიან“, ელვის სისწრაფით მოედგა ეს სასმინელი გაფრთხილება მთელ ციხეს. ჩვენც დასახვედრად დავიწყეთ მზადება. რუსული ნაწილი მოგიღვესკის მეთაურობით მეტეხის ციხეში შემოვიდა და შუა ეზოში გამწკვრივდა. ციხის სამივე შენობაში სამართლებრივი სიჩუმეა. უცებ ფაისმა მოგიღვესკის ხმა: „მესამე ინტერნაციონალის და რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით 62 ქართველს უბრძანებ დაუყოვნებლივ ბარგები შეკრიბონ და გამოვიდნ“-ო. ვერ მოასწრო ჯალათმა უკანასკნელი სიტყვის დაბოლოება, მრისხანეთ იგრილა მთელმა ციხემ: „ძირს მესამე ინტერნაციონალი, ძირს რუსეთის ოკუპაცია, ძირს ბოლშევიკური პარტია, გაუმარჯოს საქართველოს“. რუსებმა საპასუხოდ საროლა ასტყეს. ჩვენ სასწაფოდ შეუდექით თავდაცვით ზომების მიღებას. რაც კი გაგვაჩნდა ოთახებში, ლოგინიანთ ყველაფერი კარებს მივაყარეთ. რამოდენიმე წუთის განმავლობაში მავარი ბარიკადები აღმართეთ. მტერმა სცადა კარების გაღება; ვერ შესძლო, ბრახ-მორეულმა ისევ საროლა აგვიტება. ჩვენ ფულ-შემზარავი ყვირილით უპასუხეთ. ასე გაგრძელდა დიდხანს. „მეტეხი იჯანყდა“-ო. საოკუპაციო ხელისუფლება ფეხზე დადგა, მახარადის მთაფრობა შიშმა შეიპყრო. მოლაპარაკება დაიწყეს ჩვენ უფროსებთან. ქართველი კომუნისტები ეხვეწებოდნენ ჩვენ ხელმძღვანელებს: (შემდეგ გავიგეთ) — ბრძანება მოსკოვიდან მოდის, ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია, ციხეში ამოგზავნენ, ვარეთაც სისხლი დაიღვრება, გირჩევთ წინააღმდეგობა შესწყვიტოთ და დანებდეთო. დილის 5 საათი იქნებოდა. ციხის ეზოდან, სადაც რუსის ჯარი იყო დაბანაკებული, ქართულმა ხმამ მოგვმართა: — ძმებო, ზომ მიცანით იცინიარ! თქვენ ღირსეულად შეასრულეთ საპროტესტო დემონსტრაცია, მტერს სიმტკიცე და ძალა უჩვენეთ, ეხლა კი ფაშიზმით ქართული გონიერება უმინო მსხვერპლის გაღება არღირს, აიღეთ ბარიკადები და გამოდით“-ო. ამ რჩევის მომცემი გრიგოლ ლორთქიფანიძე იყო, იმ დროს მეტეხის ციხის საიზოლაციო საკანის ტუსალი. არ მოგვეწონა მისი დარიგება. ჩვენ ბრძოლა გვსურდა. ვის ჰქონდა მამინ შიში ან მორიდება მსხვერპლის გაღებისა! მაგრამ დისციპლინა დამორჩილებას მოითხოვდა, ჩვენც, პატარა

ყოყმანის შემდეგ, ბოლშით და ბრახით აღსავეს გულით დავიწყეთ ბარიკადების აღება. ეზოში მთელი მეტეხის ქართველობა შეგროვდა გამოსათხოვებლად. უცნობი და ნაცნობი, ყველანი გვეკონიდნენ და გვეხვეოდნენ. უცებ, თითქო სხილავი ლოტბარის ხელმა ანიშნა, იგლგუნა „დიდება“. გვეგნებოდათ, 2.500 კაცი რაღაც მავიური ძალით იერთი არსათი გადაქცეულიყო და ისეთი „დიდება“ დავსტყვეთ, რომ იქ მყოფთა მახსოვრობითვან ვერავითარი ძალა და დრო მას ვერ აღმოგზიანს; თვით მტერიც შეირბა და სამხედრო საღამით უპასუხა მისივე ხელით სხეულმა გაათელილი ჩვენ ერთგულ ჰიმნს. დაუეწყარად აღიბეჭდა აგრეთვე ჩემ ხსოვნაში იმ ღამეს წარმოთქმული გამოსათხოვებელი ღრმა პატრიოტული სიტყვა აღეჭანდრე კომითათიძისა და მამულიშვილური გრძობით აღსავეს პასუხი გიორგი ნაკაშიძისა. ასე დავტოვეთ მეტეხის ციხე, მრავალჯერი მხანველი საქართველოს ტრადიციისა. მწარე ფიქრებით გამოვეთხოვეთ ჩვენ ძმებს. ვარეთ საბარგო ავტომობილები გვიცდიდა. თითოს ორი ჩეკისტი მოგვიხვეს და ცხენოსანი ჯარით გარემორტყმულნი ნავთულში მიგვიყვანეს. გვაცილებდა მეტეხის უფროსი მშლმანი, სიკვდილის კომენდანტათი წოდებული. პატარა ტანის კაცს, მისი სიგრძე მაუხერი იყიდა ფანუმორებლად. საკუთარი ხელით დახვრიტა მან 1922 წ. 19 მაისს ჩვენი სათაყვანო ოფიცრები. მას წინასწარ თადარიგი მიეღო და არაჩეულდობრივი სისწრაფით გადაგვიყვანა სატუსალო ევაგონებში. ხუთი წუთიც არ მოუხინდა მთელ ოპერაციას და მატარებელი დაიძრა. მეტეხში კი გრიგოლ ლორთქიფანიძეს პირობა მისცეს: ნავთულში ერთი დღე დავტოვებდნენ, რომ შეგვძლებოდა ჩვენების უკანასკნელად ნახვა და გამოთხოვება. მატარებელი მხოლოდ ანერბიჯანის საზღვარზე გაჩერდა. მაშინ ვიგრძენით პირველად სიმწარე სამშობლოს დაკარგვისა. ყველას თვალზე შევრეული მოგვადგა. ვტოვებდით საყვარელ საქართველოს, და წინ — უცნობი უცხოეთი და ბურჟსით მოცული მომავალი...

ორი კვირის მოგზაურობის შემდეგ, ოქტომბრის დამლევს მივალწიეთ მოსკოვს. დაგვაყენეს პაველეცკის სადგურზე. იმ საღამოსვე გვეწვია არა სასიამოვნო სტუმარი, დიხერჯინსკის თანამემწე ქალი ანდრეევა პირადად მობრძანდა და შეგვთავაზა ბუტირკის ციხეში „მშენიერი, გამთბარი და ჩვენთვის სპეციალურად დამზადე-

ბული ოთახები“, სანამ გერმანიის ეიზენს მივიღებდეთ. ჩეკის წარმომადგენლის ეიზიტი ჩვენთვის ნოულოდნელი არ იყო და პასუხიც მზად გვქონდა. ჩვენი სახელით ნოუ ცინცაქემ და შალვა აბდუშელმა აცნობეს ანდრეევას, რომ მას ალბათ გაგონილი ექნება თუ როგორ დავტოვეთ მეტეხის ციხე, მოსკოვში ტრანზიტით ვართ საქართველოს მოქალაქენი და გვირჩევენა ეიზენს საქართველოს გაუშობარ ვაგონებში დაუცადოთ, ხოლო თუ თქვენ ნოისურვებთ ძალით ჩვენ გაყვანას, გაფრთხილებთ, რომ აქითგან მხოლოდ ჩვენ გვამებს იაიტანთო. — ვიცოდით, რომ მოსკოვის მთავრობას სინამდვილეში ძალიან არ სურდა ჩვენი საზღვარ-გარეთ გაშვება, და ჩვენ რომ დავთანხმებულ ვიყავით რუსულ ციხეში გადასვლას, ვერასოდეს იქითგან თავს ვერ დავაღწევდით. საქართველოს კომუნისტური მთავრობის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ჩვენი გერმანიის გადასახლებისა უკვე განსაზღვრული იყო, ამის შესახებ გერმანიის საელჩოშიც იცოდენ და იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება ერიდებოდა პატარა კონფლიქტსაც კი, რომელიც მის წინააღმდეგ საპროპაგანდოთ იქნებოდა გამოყენებული.

იღია ხნის ლოდინის შემდეგ გერმანიის ეიზენბიც მივიღეთ და ნოემბრის ბოლო რიცხვებში უკვე ბერლინში ვიყავით, ჩეკის ტყვეობისაგან განთავისუფლებულნი, მაგრამ უსამშობლოთ, უსახლკაროთ, უოჯახოთ...

მას შემდეგ ოცდაათი წელიწადი გავიდა. ოცდაათი მწარე წელი. 62-თან შესამედი ძლივს დავრჩით. ბერეს აქ, უცხოეთში, უცხო ცის ქვეშ გაეთხარა საფლავი. ბერის სამშობლოში გმირულად დაიღუპა.

მოვიგონოთ ისინი ცოცხლად შეინიღებმა და თაყვანი ვსცეთ მათ ხსოვნას.

ჩვენ გვაერთებს მათთან მეტეხის ციხე, 9 ოქტომბრის ღამე და ერთად გაველილი იმდამ გზა ლტოლვილობისა.

გავიხსენოთ მეტეხის ჰიმნიც, რომელსაც სიცოცხლით და იმედით სადესე, ვმღეროდით მათთან ერთად ოცდაათი წლის წინათ:

„ჩვენ უბრძოლველად სამშობლოს არვის მივცემთ გულსაკლავად, თუმც მთელი ქვეყნიერება გადგვექცეს შავ-ბნელ საფლავად. თეთრი გიორგი ქართველ ერს, ნოუძღვის აბჯარი უღრიალით,

ჩვენც შეუერთდეთ მამაცებს სამფერი დროის ფრიალით. ერთად წავიდეთ ბრძოლაში, ჩავლევთ ციხის კარები; საქართველოდან აღვავთო ციე ჩრდილოეთის ჯარები“.

კ. სალია

† შალვა ქარუმიძე

პირველ მარტს, დილის ცხრა საათზედ, 1952 წ. გარდაიცვალა შალვა ქარუმიძე ბერის სულით სწეულითა სამკურნალოში და დაიმარხა ბერშივე (შვეიცარიაში).

შალვა ქარუმიძე მცირე მოვლენა არ იყო საქართველოს უკანასკნელი ბრძოლის ისტორიაში თავისუფლებისათვის. განსვენებულთან ხან ახლო მეგობრული განწყობილება მქონდა, ხან უთანხმოება, ხოლო იმ დღითგან, როდესაც მე იგი პირველად ვნახე სტოკჰოლმში 1917 წელს, უკანასკნელ დრომდე მისი გერმანიისაში ყოფნისა მეორე დღი ომის დასაწყისის წინ, მოწამე ვარ მისი მოქმედებისა და მეთავალსურე მისი ცხოვრებისა.

1917 წ. შალვა საქართველოთან ჩამოვიდა სტოკჰოლმში, ჩვენ, განსვენებული გიორგი მახბელი და მე ჩვედით იქვე ბერლინთან, და შალვასთან ერთად შევიმუშავეთ გეგმა წყალქვეშა ნავებით საქართველოსთან კავშირის გაბმისა მზინდელი „განმთავისუფლებელი კომიტეტი“ მიერ გერმანელების დახმარებით. იმავე წლის ოქტომბერში მე და ჩემი ამხანაგები, განსვენებული მელიტონ ქარცივაძე და სხვანი, ჩავედით საქართველოში წყალ-ქვეშა ნავით. და იქ ერთი უდიდესი დამხმარეთაგანი ჩვენი მისისის აღსრულებაში შალვა იყო. მაგრამ ერთობ მისი დაუღალავი მოქმედება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადებისათვის, თვით დამოუკიდებლობის ხანაში, და საქართველოს რუსთაგან კვლავ დაპყრობის შემდეგ აქ, უცხოეთში, თვალ-საჩინო და საკვირველი იყო. შალვა იყო გაუტყებელი ენერჯისა და რწმენის კაცი, ერთად-ერთი მიზნით, რომ ყოველი ღონით და საშუალებით შესაძლებელ ეყო სამშობლოსათვის თავისუფლების დაბრუნება. მის მუშაობას ხელს უწყობდა მისი განსაცვიფრებელი უნარი კავშირთა გაბმისა ყველგან და ყველასთან უცხოეთში, ვინც მისი ქვეყნის მტრის მტერი იყო.

მისნი გზანი და საშუალებანი მიზნის მიხედვისა ჩვენ ბევრთათვის მისაღებნი არ იყვნენ, არც პირობანი, რომელთა გარეშე შალვას მუშაობა არ შეეძლო, — იგი არ იყო მუდამ მზიერი რევოლუციონერის ტიპი, — მაგრამ ტყუილია, ვისაც ჰგონია, რომ შალვა სხვა რაისათვისმე იღვწოდა და იბრძოდა თვინიერ მისი სამშობლოს განთავისუფლებისა. ეს საყვედური მას არ დაუმსახურებია, ცილოს მას ნურავინ დასწამებს, ეს იქნებოდა დიდი უსამართლობა და უდიდესი შეურაცხება თვისი ქვეყნისთვის თავგანწირულისა. მისი მამოძრავებელი ძალა საქართველოს სიყვარული იყო, მისი ცხოვრების მიზანი — დაცემული საქართველოს აღდგენა, და თუ იგი ყველასათვის მისაღები გზით და საშუალებით არ იბრძოდა, — იმისი გზა და საშუალებაა **სახეებით** მისაღები ყველასათვის?...

ყოველ შემთხვევაში ჩვენი ვალია პატრიოტ მოვიხსენიოთ ჩვენგან განმორჩეული ქართველი მებრძოლი, და ნუ ფანეიკითხავეთ კაცსაც, რომელსაც მწარე ბედმა რაოდენიმე წლის სასტიკი სატანჯველი არგუნა ხვედრათ სიცოცხლის დასრულებამდე, რომელიც უჭირისუფლოდ დაფლეს უცხო მიწაში. — ეს უნდა იყოს ვალი იმ ქართული პოლიტიკური პარტიისაც, რომელსაც განსვენებული ეკუთვნოდა.

მე კი ამ წუთს ვფიქრობ მხოლოდ კეთილშობილ ნაწილზედ შალვას სულისა, რომელიც მცირე არ იყო, და ვეტყვი მწარედ დასჯილსაც: სიკვდილი შენთვის ხსნა იყო, და ვითარცა მართალმან განისვენე მარადის. ღირსი ხარ ამისა ამ ქვეყნიური ღვაწლისათვისაც!

მის. წერეთელი

იოსებ ელიზულაშვილი

გული ამბატკივა იოსებ ელიზულაშვილის მოულოდნელმა სიკვდილმა. საბრალო, საშინელ ტანჯვაში გარდაცვლილიყო. მას კარგად და ახლო ეიცნობდი.

დანიშნულ დროს შეუერთდი სასაფლავო კარებთან შეგროვილი ქართველებს და უცხოელებს, მოსულთ უკანასკნელი მშვიდობის სათქმელად იმ აღამაინისათვის, ვისი სიცოცხლის საგანს მძიმე შრომა და საზოგადო მოღვაწეობა შეადგენდა. ეს იმგიათი ქართველი ებრაელი, უჩინარი, მორცხვი და მორიდებული კაცი იყო. მის გონი-

ერ და სევდიან თვალებში, გვეგონებოდათ, თითქო მთელი კაცობრიობის ჭირვარაში იყო აღბეჭდილი. ვინ იცის რამდენ გაჭირვებულ ქართველს ეხმარებოდა ეს დაუღალავი მუშა აღამაინი. არ სტოვებდა უყურადღებოდ აგრეთვე არც ერთ ქართულ კულტურულ საქმეს. იძინდა და აგროვებდა საინტერესო წიგნებს, ძველს უმზადებდა ტფილისის უნივერსიტეტს. იყიდა საეკლესიო ნივთები და მაღლობის წარწერით უნდა და სიონის ტაძრისათვის მიერთვა, აღსანიშნავად იმ ყურადღებისა, რომელიც ქართველებმა გამოიჩინეს პარიზში მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველი ებრაელების მიმართ, როგორც ეს იყო ძველი, მამა-პაპური ჩვენი ტრადიცია. იერ მოასწრო განსვენებულმა სიცოცხლეში ამ ძვირფასი საჩუქრების გადაცემა...

სამგლოვიარო პროცესია იოსების სამუდამო განსასვენებელ ადგილს მიუახლოვდა.

შემოდგომის ოქროს ფეროვანი, სიცოცხლეს მოკლებული ფოთლები საიდუმლო სიჩუმით ნაზად ეფინებოდნენ მის საფლავისაკენ მიმავალ გზას.

ცრემლებით თვალში ემშვიდებოდნენ მას ჭირისუფალნი და შეგობრიები. ობლად იდგა, სიმწარის ფიქრებში გაქვავებული, მისი საყვარელი მეთლვე მარამს.

საფრანგეთის მიწას მივებარეთ სამშობლოს კიდევ ერთი ერთგული შვილი.

დამწუხრებული ემშვიდობება მას ყურნალი „ბედი ქართლისა“. იოსებ ელიზულაშვილი მის პირველ დამხმარეთა რიცხვში ითვლებოდა.

ნინო სალია

სამგლოვიარო

„ბედი ქართლისა“ თანაგრძნობას უცხადებს ბ. გიორგი მალალაშვილს მისი შვილის **გაბრიელის** უღრროდ დაღუპვის გამო.

სამუდამოდ გულმოკლული ძმა ლადო არველაძე მწუხარებით იუწყება, დედის მსგავსად საყვარელის, აღმშრდელი დის, მისთვის ყველაზე უძვირფასესი არსების, **მაგდანია არველაძე-შენგელიას** გარდაცვალებას ქ. ხარბინში.

„ბედი ქართლისა“ გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას ამერიკაში **დავით აბაშიძის** გარდაცვალების გამო.

ბ ა ნ მ ა რ ტ ე მ ბ ა

(ვებკვლავთ თეთრი გიორგის ორგანიზაციის თხოვნით. რედი.)

„მებრძოლი საქართველო“-ს (№ 6) ბიულეტენში მოთავსებულია ქ. ე. ს. კომიტეტის შემდეგი განცხადება: „რაც შეეხება „თეთრი გიორგის“ საბჭოიდან გასვლას, ჩვენთვის გადაუგებარია ეს დემონსტრაცია; არც საეროთი და არც განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა ეს მოხდა, მას არა ჰქონდა არავითარი ფასამართლებელი მიზნუბობა“.

არც ვიცით, რისთვის დასჭირდა კომიტეტს ასეთი უცნაური და არა-მართალი ცნობის მოთავსება, როდესაც მან მშვენივრად იცის მიზნუბები ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯისა, რომელიც მისთვის სრულყოფილ მთელოდნელი არ იყო და მის ხელით არის ჩვენი განცხადებაც; ვაგზავნილი 5 ივლისის თარიღით კომიტეტიდან და საბჭოიდან გამოსვლის შესახებ.

მთავარი უთანხმოების გამომწვევი ჩვენ და კომიტეტს შორის იყო თავიდანვე რუსებთან თანამშრომლობის საკითხი, რომლის შესახებ ჩვენი შეხედულება არა ერთხელ იყო განცხადებული საჯაროთ ჩვენ მიერ და პრესაშიც გამოქვეყნებული (იხ. „ბედი ქართლისა“ №№ 11 - 12), ამიტომ მისი განმეორება აქ საჭიროთ არ მიგვაჩნია. ვიტყვიტ მხოლოდ: დღეს მაინც, ამდენი ცდების შემდეგ, ცხადი უნდა იყოს კომიტეტისათვის, რომ ერთი მეორის მოუტყუებლად და საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპის შეუღახვად შეუძლებელია თანამშრომლობა რუსებთან, რომელთა მთავარი მიზანია ამა თუ იმ ფორმით მთლიანი და განუყოფელი რუსეთის შენახვა. ამ იდეის დასაცავად ისინი გაშმაგებულ პროპაგანდას ეწევიან ყველგან და ცდილობენ დაარწმუნონ დაინტერესებულნი წრეები, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი ერები მხოლოდ ბოლშევიკურ რეჟიმს ებრძვიან და არა რუსეთის ბატონობას, რომ ამ ერთა საკითხი რუსეთის წინაურსა საქმეა, რომელსაც ის მოავგარებს თვითონ რეჟიმის დამხობის შემდეგ და სხვ.

ჩვენ ამის საწინააღმდეგო ზომები უნდა მიგვეღო.

საჭირო იყო დარაზმვა მოსკოვის მიერ დაპყრობილ ერებისა და შეეროებული ძალებით ჩვენი უფლებების დასაცავად ენერგიული მოქმედება.

საჭირო იყო დაკავშირება და თანამშრომლობა

ბა უკვე არსებულ, სატელიტებად წოდებულ სახელმწიფოთა ანტიბოლშევიკურ ფრონტთან. ჩვენ ვიცით, რომ ამის შესაძლებლობა არსებობდა.

საჭირო იყო ყველა საშვალელებით გამაგრება ამერიკული კომიტეტში იმ მიმართულებიას, რომელიც დაჩაგრულ ერებს თანაუგრძნობდა.

ქართული კომიტეტს ამ მიმართულებით უნდა ემეშავა.

იმედებიც იყო დადებითი შედეგების მიხვევისა.

სამწუხაროთ, მან სხვა გზა აირჩია, გზა, ჩვენი რწმენით მიუღებელი.

„თეთრი გიორგის“ წადილი იყო აგრეთვე სრული და ნამდვილი საბჭოს შექმნა, სადაც ყველა ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები იქნებოდა წარმოდგენილი. ამიტომ მოვითხოვდით კატეგორიულად საბჭოს დაარსების დროს მისი ყრილობის გადადებას, და ჩვენი წინადადებით იყო მიღებული კომიტეტისა და საბჭოს მხოლოდ ექვსი კვირით არჩევა.

რვა თვის განმავლობაში კომიტეტში ჩვენი მუშაობის შედეგი ის იყო, რომ არც ერთი ჩვენი მოთხოვნილება არ იქმნა დაკმაყოფილებული და აღსრულებული.

ჩვენი და ქ. ე. ს. კომიტეტის ხაზის სრული სხვა და სხვაობა საბოლოოდ გამოსაშვარავდა ჩვენთვის 18 ივნისის შტაბინტურგის კონფერენციის დროს. ამ დღითგან ცხადი შეიქმნა, რომ კომიტეტი თავის ხაზს არ შეცვლიდა და უკვე არავითარი მიზანი არ ჰქონდა იქ ჩვენს დარჩენას. მაგრამ თუ საბჭოიდანაც გამოვედით მის ყრილობამდე, ეს იმითომ, რომ არც გქონდა გარანტია კომიტეტი შესძლებდა მოკლე ხანში ყრილობის მოწვევას (ეს იყო ივნისში), ხოლო იგი საბჭოს სახელით მოქმედებდა და ჩვენ არც გვინდოდა პასუხისმგებლობა ვაგვეზიარებია იმ საქმიანობისა, რომელიც ჩვენ აღარ გვწამდა და სწორად არ მიგვაჩნდა.

„თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელობა. პარიზი, 25 ოქტომბერი 1952 წ.

მვკოპიელ მეცნიერთა კონგრესი

ა/წ. 22 - 23 - 24 სექტემბერს შესდგა საფრანგეთში, ქ. კომპიენთან „ლუ ბრევიერის“ სასახლეში ევროპიელ მეცნიერთა ყრილობა, რომელსაც დაესწრენ მეცნიერები: საფრანგეთითგან,

გერმანიისთვის, იტალიისთვის, ინგლისისთვის, წვეციხისთვის, ნორვეგიისთვის, ოსმალეთისთვის და სხვა ქვეყნებისთვის.

კონგრესის საგანი იყო მცნობიერი კვლევა-ძიება ევროპული საკითხებისა. სხვა წინადადებათა შორის ყრილობამ მიიღო პროფ. **ალექსანდრე ნიკურაძის** აზრი, მცნება — **ევროპოლოგიის** შემოღების შესახებ, რომელიც ჩვენი თანამემამულის შეხედულებით წარმოადგენს ევროპულ სხვადასხვა ნეკნეირულ დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას.

აქტიური მონაწილეობას ღებულობდა კონგრესის მოწყობაში და მუშაობაში აგრეთვე ჩვენი თანამემამულე პროფ. **მიხეილ მუსხელიშვილი**, რომელიც დიდხანს ცნობილია თავისი მუშაობით ევროპულ საკითხებზე.

**ქართული სათვისტომოს გამგეობა
გვთხოვს გამოვაცხადოთ:**

1) ქართველ-უკრაინელ მოხეტეებულთა თავშესაფარი სახლი გაიხსნა 7 ივლისს 1952 წ., ს. აბონდანში. პარიზიდან დაახლოებით 70 კილომანძილზე.

სახლში არის 105 ადგილი. ჯერ-ჯერობით მოეწყო მხოლოდ 21 ქართველი და ამდენივე უკრაინელი. მოკლე ხანში მოეწყობა კიდევ რამოდენიმე ქართველი, რომელთათვის შუამდგომლობა აღძრულია და საბუთები წარდგენილი განსახილველად სადაც ჯერ არაა.

თავშესაფარში მოთავსების ფორმალური მხარე ასეთია: მსურველი უნდა იყოს წარმოშობით ქართველი, (ფრანგული ქვეშევრდომობა ხელს არ უშლის) 65 წლის, ან და შრომის უნარს მოკლებული 80 პროცენტით. უნდა იყოს ნაცხოვრები საფრანგეთში სულ ცოტა ერთი წელი.

თავშესაფარში მყოფი პირები მეტად კმაყოფილი არიან: ბინით, არაჩვეულებრივი სისუფთავით, ძალიან კარგი კვებით, ლიბერალური რეჟიმით და ადმინისტრაციის ნეგობრული და მოკიდებულებით მათთან.

2) სათვისტომოს გამგეობა აწყობს ამ მოკლე ხანში: ა. ქართული სიმღერების რადიო-გადაცემას; ბ. ქართული ფოლკლორის საღამოს უ.ნ.ე.ს.კ.-ის საშვლებით და გ. კავკასიურ საღამოს.

3) **სათვისტომოს წევრთა საყურადღებო:** ა) სათვისტომოს თავმჯდომარემ მიიღო ცნობა სა-

ფრანგეთის ვარეშე საქმეთა სამინისტროდან, რომ ქართული ოფისი გახსნილია ოფიციალურად ა/წ. 22 სექტემბრიდან. ბურო ღიაა ყოველ დღე (გარდა კვირის - უქმეებისა) დილის 9 საათიდან 121/2 საათამდე. ოფისის მისამართი: **7, rue Copernic, Paris (16).**

ბ. განმეორებით ერთხელ სათვისტომოს იმ წევრთ, რომელნიც არ ღებულობენ „მოსაწვევ ბარათებს“ დაუყონებლივ გვაცნობონ მათი მისამართი.

**Association Géorgienne en France,
102, Boul. de la République,
SAINT CLOUD (S. et O.).**

წვილი ბელგიითა

ბელგიაში მცხოვრებ ქართველთა კავშირმა, წელს განსაკუთრებული ელფერით ჩაატარა ჩვენი ეროვნული დღეობა 26 მაისი.

დარბაზი ღამაზად იყო ყვავილებით მორთული. კედლებზე ეკიდა ჩვენ მეფეთა, მწერალთა და მოღვაწეთა სურათები.

მოვისმინეთ ქართული ფირფიტები. დარიგდა უცხოეთში გამოსული ჩვენი ჟურნალები.

მისასალმებელი სიტყვა ფრანგულათი წარმოთქვა **ბ. მ. ტულუშმა**. ამის შემდეგ გუნდმა შეასრულა ჩვენი ჰიმნი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსი იყო პატარა **ყარამანი**, ეროვნული სამღერო ალამით ხელში, ამყად, მთელი ფილტვებით „ღიღებდა“-ს რომ შეეროდა.

ბ. ა. მანვეტაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ აქაურ საზოგადოებას შეუსრულდა 28 წელი და მიმართა განსაკუთრებული მადლობით ქან **ელენე ყიფიანს**, ამ ხნის განმავლობაში კავშირის მცუველელ მდივანს, და გადასცა მას საჩუქარი მეგობრების სახელით.

კრებულის ფონდი

შემოსწირეს: მეგობარმა — 10.000 ფრ., გ. კობახიძის საშვლებით ამერიკიდან — 3.500 ფრ., მიხ. ჩუბინიძემ — 3.000 ფრ., მ. გიორგაძემ — 3.000 ფრ., ზ. მ.-მა — 2.000 ფრ., ი. სალუქვაძემ — 1.000 ფრ., დ. ქიმერიძემ — 1.000 ფრ., ი. ზედგინიძემ — 1.000 ფრ.

სულ — 24.500 ფრ.

რედაქცია უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთა და იმედს გამოსთქვამს მომავალშიც დაეხმარებიან მას.